პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
კვირა 8 ივლისი
№ 157 (17502)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ვეწვიოთ მუზეუმს

ენობის მზერა ქართულია, და მის მესამე სართულზე დიდ დარბაზში გამოფენილი, მისხალ-მისხალ ნაგროვები მასალებიც ნამდვილ ჩვენებურ სტუმართმოყვარეობაზე, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულზე, შრომისადმი ჭეშმარიტად კომუნისტურ დამოკიდებულებაზე, დიდ ინტერნაციონალურ მეგობრობაზე მოგვითხრობს.

ეს მახარაძის რაიონის სოფელ შრომის მეგობრობისა და სოციალისტური შრომის გმირთა მუზეუმია. დიდი მოწიწებით გადაბიჯებს ყოველი მომსვლელი ამ მუზეუმის ზღურბლს. ყველა ექსპონატი თითქოს რაღაც საოცარი ანდამატით იზიდავს ადამიანებს, მადლიერების გრძნობით ავსებს არა მარტო იმათ მიმართ, ვინც საფუძველს უყრიდა ამ ისტორიულ მეგობრობას, არამედ იმათ მიმართაც, ვინც ასე სათუთად შეკრიბა ყოველივე და შთამბეჭდავ სანახაობამდე, ჭეშმარიტ ღირებულებამდე აამაღლა, ისტორია და დღევანდელობა ერთმანეთს დაუკავშირა, განვლილი და ახლანდელი ცხოვრების რეალური სურათი ასე ოსტატურად დახატა!

ეს უამად საქართველოში ათობით სხვადასხვა პროფილის მუზეუმი დგას მშრომელთა აღზრდის სამსახურში; ამ დარგის მუშაკები ერთგულად ემსახურებიან თავიანთ საქმეს, თავდადებით იბრძვიან შარშან აპრილში გამართული საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რომელმაც კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების დიდი და საპატიო ამოცანები დასახა.

რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე? ბევრი რამ: გაფართოვდა მუზეუმების ექსპოზიციები, გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მეტი ყურადღება დაეთმო კადრების დოსტატებას, გაძლიერდა ამ დაწესებულებებისადმი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, იმატა საზოგადოებრივ საწყისებზე გახსნილმა სახლ-მუზეუმებმა, უფრო ცოცხალი და ეფექტიანი გახდა მუზეუმების საქმიანობის ფორმები და მეთოდები, განმტკიცდა ამ დაწესებულებების კავშირი შრომითს კოლექტივებთან.

ყოველდღიურად ასობით დამთვალიერებელი მყავს ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალს. მუზეუმის მუშაკებს მჭიდრო კონტაქტი აქვთ დამყარებული შრომითს კოლექტივებთან, სასწავლებლებთან, სკოლებთან, პარტიულ ორგანიზაციებთან, ამიტომ ისინი ყოველთვის მზად ხვდებიან მუზეუმის სტუმრებს და აქ გამართული ყოველი ღონისძიების ეფექტიც დიდია. განსაკუთრებით შთამბეჭდავია კომკავშირულ და პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად მოწყობილი ღონისძიებები, რომლებიც კომკავშირელთა და ახალგაზრდა კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის არის განკუთვნილი; დიდი რეზონანსი აქვს შრომის ვეტერანთა და ახალგაზრდობის შეხვედრებს, პიონერთა და კომკავშირელთა რიგებში მიღების მასობრივ ღონისძიებებს, პარტიული ბილეთების საზეიმო გადაცემის ცერემონიას...

შარშან 220 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა აჭარის სახელმწიფო მუზეუმი. ამ ისტორიული პროფილის დაწესებულებას ეს დიდძალი დამთვალიერებელი იმიტომ ჰყავდა, რომ აქ ყოველთვის ოპერატიულად ეხმაურებიან დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენებს, საინტერესოდ წარმართავენ ლექცია-საუბრებს, ამასთან მუზეუმის მუშაკებმა შარშანვე 206 მოძრავი გამოფენა მოაწყვეს აჭარის მთიან სოფლებში. ასევე მისაბაძია თბილისის ხალხთა მეგობრობის, ბათუმის რევოლუციის, ქუთაისის და გორის საბჭოთა დიდების, კომკავშირის ისტორიის მუზეუმების მუშაობის გამოცდილება.

მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ეს ახლახან გამართულ საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე ითქვა, რესპუბლიკაში არსებული მრავალი მუზეუმიდან ბევრი მაინც ცუდად მუშაობს. ბევრ მუზეუმში დაბალია ექსპოზიციების იდეურ-მხატვრული დონე, დაცული არ არის დროთა კავშირი, ცუდად დგას სამეცნიერო-პროპაგანდისტული საქმიანობა, სამუზეუმო ღირებულებათა აღრიცხვა, დაცვა, შენახვა, რეგულარულად არ ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები, ლექცია-მოხსენებები, საუბრები, მოძრავი გამოფენები.

რედაქციაში მოდის წერილები, რომ ზოგან მუშაობა მთლიანად ჩაშლილია. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმში, რომელიც ძველ, ვიწრო შენობაშია მოთავსებული და 1959 წლიდან არ შეუკეთებიათ. აქ ცუდად დგას სამუზეუმო ფონდების დაცვის, აღრიცხვის და შენახვის საქმეც, არ ხდება მათი მეცნიერული შესწავლა.

ანალოგიური ნაკლოვანებებია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მის კოლექტივს აგერ რამდენიმე წელია, არ მოუწყვია არც ერთი სამეცნიერო სესია, დღევანდელ მოვლენებთან დაკავშირებული მოძრავი გამოფენა. საბჭოთა პერიოდის ექსპოზიცია საერთოდ არა აქვს მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, ცუდად მუშაობენ ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. სერიოზული ნაკლოვანებებია სიღნაღის, თეთრიწყაროს, წულუკიძის, ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგიც არის, რომ ამ რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათანადოდ არ ზრუნავენ ამ დიდმნიშვნელოვანი იდეოლოგიური სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად არ სწავლობენ მათს მუშაობას, არ ეხმარებიან კოლექტივებს, კონტროლს არ უწევენ მათს საქმიანობას. მუზეუმები ასეთ დახმარებას ზოგჯერ მოკლებული არიან ავტორთვე შესაბამისი უწყებებიდანაც — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიიდან და საქართველოს სსრ ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოდან, რომლებსაც ისინი ექვემდებარებიან.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე ახალი დიდი ამოცანები დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და ეს ამოცანები კონკრეტულ მოთხოვნებად ჩამოყალიბდა საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე, რომელმაც ეს ისტორიული დოკუმენტი განიხილა.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების პირველი რიგის ამოცანაა, რაც შეიძლება ოპერატიულად დასახსნან ქმედითი ღონისძიებები სამუზეუმო ფონდების აღრიცხვის, დაცვის, შენახვის გასაუმჯობესებლად, მუშაობის მოწინავეთა გამოცდილების გასავრცელებლად, რომ უკლებლივ ყველგან გამოცოცხლდეს საექსპოზიციო მუშაობა, ადგილებზე შეიქმნას საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველი ექსპოზიციები, შეირჩეს ისეთი ექსპონატები და დოკუმენტები, რომლებიც სათანადოდ ასახავენ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ დიად გარდაქმნებს, საბჭოთა ხალხის წარმატებებს...

ახლა მთავარია მუზეუმების, ისევე როგორც სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მზადებას ისეთი ღირსშესანიშნავი მოვლენების ღირსეულად შეხვედრისათვის, როგორიც არის ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი, სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობები, საქართველოს კომპარტიისა და საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავი.

ადამიანის სწორი აღზრდა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იმუშავებენ კლუბები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები სოფლად და ქალაქად. ამიტომ მათი საქმიანობა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უდმივი ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. დახმარება და ზრუნვა არ უნდა მოვაკლოთ მათ და მუშაობაც უფრო ნაყოფიერი, სასარგებლო იქნება.

მიფრინავს „კოსმოს-1112“

1979 წლის 6 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1112“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა, რომელიც ნორმალურად მუშაობს, განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. საკოორდინაციო-გამთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით საბჭოთა კავშირის დელეგაციის ანგარიში 1979 წლის 26-28 ივნისს მოსკოვში გამართული ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXIII სხდომის შედეგების შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მაღალ შეფასებას აძლევენ სესიის მიერ მიღებულ განცხადებას ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს 30-ე წლისთავის შესახებ და კომუნიკეს, რომლებიც გამოხატავენ მომძლე სოციალისტური ქვეყნების მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავაც გააფართოონ ყოველმხრივი თანამშრომლობა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. ხაზგასმით აღინიშნა თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს სესიისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებასა და სხვა მომძე პარტიების და სახელმწიფოების ხელმძღვანელთა მისალმებაში მოცემულ შეფასებებსა და დასკვნებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის გასაღრმავებლად შემდგომი მუშაობისათვის, სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის.

აღინიშნა, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXIII სხდომა და მის მუშაობაში საბჭოს არაწევრი მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობა მიწონობს, რომ განმტკიცდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საერთაშორისო ავტორიტეტი, რომ თანმიმდევრულად ხორციელდება მომძლე პარტიების კურსი — განავითარონ ყველა სახელმწიფოსთან ფართო და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განსამტკიცებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ სესიის სხდომის პრაქტიკული შედეგების — წარმოების ძირითად დარგებში თანამშრომლობის ყველა გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამის შემუშავების დამთავრების, მათი რეალიზაციისათვის მთელი რიგი დიდი შეთანხმების ხელმოწერის, იმ გადაწყვეტილებათა მიღების გამო, რომლებიც მიზნად ისახავენ საბჭოს დემოკრატიული საფუძვლების შემდგომ განმტკიცებასა და მისი საქმიანობის სრულყოფას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ: სესიის სხდომამ შექმნა იმის პირობები, რომ კიდევ უფრო გაიშალოს მუშაობა, რათა განხორციელდეს გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა ფართო კომპლექსი, დამთავრდეს 1981-1985 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაცია, გაღრმავდეს სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელიც თითოეული მომძლე სახელმწიფოს და მთლიანად სოციალისტური თანამეგობრობის ყოველმხრივი პროგრესის სტაბილური ფაქტორი გახდა. სესიის XXXIII სხდომის მიერ დასახულ ღონისძიებათა რეალიზაცია ხელს შეუწყობს ქვეყნების ძმური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონეს სსრ კავშირის დელეგაციის საქმიანობა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXIII სხდომაზე და დაავალეს კომპეტენტურ საბჭოთა ორგანოებს შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა კავშირის იმ ვალდებულებათა მთლიან და დროულ შესრულებას, რომლებიც სესიის სხდომის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს.

ლ. ი. ბრეჟნევი სევასტოპოლში

7 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ეწვია გმირ ქალაქ სევასტოპოლს. იგი ავიდა საპუნ-გორაზე, ყვავილებთ შეამკო სევასტოპოლის განმათავისუფლებელთა პატივსაცემად აღმართული ობელისკი, დაათვალიერა ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი საბჭოთა მეომრების მხედრული დიდების სხვა ადგილები.

ლ. ი. ბრეჟნევი გაეცნო აგრეთვე ძეგლებს, რომლებთაც უკვდავყოფილია 1854-1855 წლებში სევასტოპოლის დამცველთა გმირობა. ქალაქის მცხოვრებლები ყველგან გულთბილად და გულითადად მიესალმებოდნენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

იმავე დღეს ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ქალაქის პარტიული და საბჭოთა აქტივის წარმომადგენლებს. საუბრის დროს მან გამოიკითხა, თუ რა შრომითი წარმატებები აქვთ საწარმოებს, როგორ სრულდება საგეგმო დავალებანი, როგორ ვითარდება სოციალისტური შეჯიბრება, დაინტერესდა მშრომელთა ცხოვრებისა და ყოფის პირობებით; გამოთქვა მთელი რიგი მოსაზრებანი ქალაქის მეურნეობის განვითარების, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების შესახებ.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა დიდი წარმატებანი უსურვა სევასტოპოლელებს, მადლობა გადაუხადა შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტისა და სხვა ქვეანაყოფების პირად შემადგენლობას, რომლებიც საიმედოდ უზრუნველყოფენ საბჭოთა სამშობლოს საზღვრების უშიშროებას.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, პარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ს. მაკარენკო, შავი-ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის სარდალი ადმირალი ნ. ნ. ხოვრინი, შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ვიცე-ადმირალი პ. ნ. მედვედევი, პარტიის სევასტოპოლის საქალაქო კომიტეტის მდივანი ბ. ვ. ჩერნიჩკინი.

(საკდესი).

8 ივლისი მეგბალურის დღეა



ზღვის მაშვრალნი

სასურსათო პროდუქტების წარმოებით დასაქმებულ სახალხო მეურნეობის დარგებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თევზის მრეწველობას. ეს დიდი და რთული კომპლექსია, რომელშიც ერთიან საწარმოო პროცესად შერწყმულია თევზის დაჭერა, დამუშავება და მისი გამრავლება.

უკანასკნელი წლების მანძილზე მსოფლიო ოკეანეში სახე იცვალა თევზის რეწვამ. ახლა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თევზჭერას დიდ სიღრმეებზე.

ახალი შრომითი წარმატებებით ხვდება აჭარის თევზსაჭერი ფლოტის სამმართველო თავის ტრადიციულ დღესასწაულს — მეგბალურის დღეს.

ზღვის მშრომელები აქტიურად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. მათ წარმატებით დაამთავრეს თევზჭერისა და პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის დავალება.

ახლა სამმართველოს ძირითადი ფლოტი ჭიუნინას იჭერს. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან კაპიტან-ბრიგადირის გივი უკლებას და კაპიტან იუსტინას კუუმას სეინერების ეკიპაჟები, დავით შერვაშიძის ბრიგადა და სხვა კოლექტივები.

□

სურათებზე: აჭარის თევზსაჭერი ფლოტის სამმართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მეგბალური ბაგრატ კობერიძე; შავი ზღვის „მოსავალი“; ბადის ამოღება ღია ზღვაში;

ნ. ანასტასიევის ფოტო, (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეგბალურთა დღესასწაული

6 ივლისს მოსკოვში გაიმართა მეგბალურის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე თ. ი. მოჩალინი, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრი ვ. მ. კამენცევი.

(საკდესი).

საკადესის ცნობა

კავშირის თანამგზავრი „ჰორიზონტი“

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გამოყენებითი კავშირისა და ტელემაუწყებლობის სისტემების შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად, 1979 წლის 6 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირის მორიგი თანამგზავრი „ჰორიზონტი“.

თანამგზავრი გაყვანილია სტაციონარულთან დაახლოებულ წრიულ ორბიტაზე. თანამგზავრ „ჰორიზონტზე“ მოთავსებულია გაუმჯობესებული მრავალდერძა საბორტო სარეტრანსლაციო აპარატურა, რომელიც უნდა უზრუნველყოს სატელეფონო სატელეგრაფო რადიოკავშირი და სატელევიზიო პროგრამების გადაცემა.

დაგეგმილია კავშირის თანამგზავრის „ჰორიზონტის“ საშუალებით 1980 წელს უზრუნველყონ სატელევიზიო დადაცემების ტრანსლაცია საბჭოთა კავშირში. XXII ოლიმპიურ ასპარეზობათა სპორტული შეჯიბრების მოწყობის ადგილიდან.

თანამგზავრ „ჰორიზონტზე“ მოთავსებული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

თანამგზავრ „ჰორიზონტის“ საერთაშორისო სარეგისტრაციო ინდექსია „სტაციონარ-4“.

დამთავრდა ვ. მაიაკოვსკის სრულიად საკავშირო დღეები

რევოლუციური პოეზიის ერთგულებით

მგოსნის სამშობლოში

მაიაკოვსკი, 6 ივლისი. დღეს ნაშუადღევს ვლადიმერ მაიაკოვსკის სრულიად საკავშირო დღეების მონაწილეები — სტუმრები და მასპინძლები ქუთაისიდან მაიაკოვსკში გაემგზავრნენ.

მაიაკოვსკის რაიონის მშრომელები სამართლიანად ამაყობენ, რომ აქ დაიბადა რევოლუციის დიდი ტრიბუნი. ისინი სათუთად ინახავენ და მოწიწებით უვლიან ყველაფერს, რაც დაკავშირებულია პოეტის სახელთან.

რაიონის ცენტრში, იქ, სადაც აღმართულია პოეტის ძეგლი, სტუმრების დასახვედრად მოვიდნენ მაიაკოვსკელი და მეზობელი რაიონების მშრომელები, მოსწავლე-ახალგაზრდობა, რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები.

დღეების მონაწილეებმა თაიგულებით შეამკეს ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ძეგლი და შემდეგ გაემართნენ მდინარე ხანისწყლის პირას მდებარე სახლისკენ, სადაც ვლ. მაიაკოვსკი დაბადა და სადაც დღეს მისი სახლ-მუზეუმია მოთავსებული. ისინი ინტერესით, დიდი გულისყურით გაეცნენ სახლ-მუზეუმში მოწყობილ მუდმივმოქმედ მდიდარ ექსპოზიციას.

აქვე გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო, რომელიც შესანიშნავი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. დუმბაძემ.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ენაცვლებიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდა პოეტები: პ. ვეგანი, ა. ტკაჩენკო, პ. პერებიინისი, ალკა პრეშიის ლაურეატი გ. საფიევა, ზ. მაქეიკიტი, რ. რინგაუდასი, ი. ისმაილზადე, ე. ნიკარაძე, დ. ბედიანიძე, ც. ანთაძე, აფხაზი პოეტი ბ. გურგულია, მოსკოვის მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის სწავლული მდივანი მ. სოლოვიოვა.

მათ გამოსვლებში ნათლად იგრძნობოდა ის აზრი, რომ რევოლუციური პოეზიის ჩირაღდანი, რომელიც ვლ. მაიაკოვსკიმ აანთო, საიმედო ხელშია. მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის შემოქმედებითი ახალგაზრდობა. არა მარტო ღრმად და საფუძვლიანად სწავლობს დიდი პოეტის შემოქმედებას, არამედ ღირსეულად განაგრძობს კიდეც საბჭოთა რევოლუციური პოეზიის ტრადიციებს. ეს აზრი საუკეთესოდ გამოხატა მოსკოველმა ახალგაზრდა პოეტმა ბ. ვეგანმა, რომელმაც თქვა:

— ჩვენ ვცდილობთ ვწეროთ ისე, როგორც წერდა დიდი მაიაკოვსკი. ჩვენ აქ ამიტომაც მოვგროვდით, რომ უდიდესი პატივისცემის ნიშნად ერთხელ კიდევ მოვიყაროთ ფუნლი რევოლუციის დიდი მეხოტბის წინაშე და მთელი ხმით განვაცხადოთ: ჩვენი საქმიანობით და შემოქმედებით ერთგულად ვემსახურებით საბჭოთა ხალხის საქმეს, მშობლიური კომუნისტური პარტიის იდეალებს.

მაიაკოვსკის სამშობლოში გამართულ დღესასწაულში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შარტავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე პ. ლუჩინსკი.

ბოლო აკორდი

ქუთაისი. 7 ივლისი. ზეიმის ბოლო დღეს სტუმრები ეწვივნენ ქალაქის საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. გულთბილი შეხვედრები გაიმართა ს. კიროვის სახელობის სამკერვალო, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებებში, ტრიკოტაჟის ფაბრიკაში, სამკერვალო გაერთიანება „გელათში“.

— აი ასეთ ნაჯაფ ხელებს უმღეროდა ვლ. მაიაკოვსკი თავის შემოქმედებაში, — გვითხრა აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს საამქროების დათვალიერების დროს აფხაზმა პოეტმა ბ. გურგულიამ, — ასეთი შრომის რიტმით არის დამუხტული მისი პოეზია. ქუთაისთან, ქუთათურებთან შეხვედრა ჩვენთვის, აფხაზი მწერლებისათვის მუდამ სასიამოვნოა. ასე იყო 1978 წელსაც, როდესაც აქ აფხაზური ლიტერატურის დღეები გაიმართა.

— ძალზე სასიამოვნოა, რომ დღეების დროს ახალგაზრდობა იყო მთავარი მოქმედი პირი, — ამბობს ოსი პოეტი გ. კაზაევი — ეს ხიმპატომატურიც არის. ხშირად ახალგაზრდობამ უნდა განავითაროს რევოლუციური პოეზიის ტრადიციები.

შემდეგ ქუთაისის ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა ქალაქის შემოქმედებითი ახალგაზრდობის, კომკავშირული აქტივის შეხვედრა მაიაკოვსკის დღეების მონაწილეებთან თემაზე: „საბჭოთა ადამიანის სახე ვ. მაიაკოვსკის პოეზიაში“.

ზეიმის მნიშვნელი მიიღეს პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში. საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. რუხაძე მათ ესაუბრა ქალაქის ისტორიაზე, მის დღევანდელობაზე. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თუ როგორ მოეწყოს მაიაკოვსკის მომავალი დღეები.

სტუმრებმა დიდი მადლობა გადაუხადეს პარტიის ქუთაისის საქალაქო და მაიაკოვსკის რაიონულ კომიტეტებს გულითადი მიღებისა და მასპინძლობისათვის.

თითქმის ყველა მონაწილის სათქმელს ამბობს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, მაიაკოვსკის დღეების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ჯ. ჩარკვიანი.

— ერთა ძმობის სულისკვეთების დამკვიდრებას დიდი რუდუნება სჭირდება. და აი ამ დღეებშიც კვლავ აფრიალდა ჩვენი მწერლობის დროშა, რომელზეც წარწერილია უკვდავი რუსთაველის სიტყვები „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!“. ეს არ იყო უბრალო შეხვედრები. აქ იგრძნობოდა გულითადი ურთიერთობა მწერლებისა და მშრომელებისა. სტუმრებს, რომ იტყვიან, დასვენების საშუალება არ მივეცით. მათთვის ეს იყო ნამდვილი სამუშაო დღეები, რომ სრულად ალექვათ დღევანდელი ქუთაისის შრომითი რიტმი. მე დარწმუნებული ვარ, როდესაც ისინი აქედან წავლენ, შეიქმნება ახალი ლექსები და პოემები, მოთხრობები, რომლებშიც მძლავრად იხმიანებს ამ დღეთა ექო.

რაოდენ სასიამოვნოა, რომ მოჩნდა ახალი თაობა, ახალი სახელები, რომლებიც შინაგანად უკვე მზად არიან გააგრძელონ ერთგული მეგობრობის ტრადიციები დიდი საბჭოთა მწერლებისა, რომელთა შემოქმედებაში ღრმად გიდგა ფესვები საქართველომ, მისმა წარსულმა, აწმყომ და მომავალმა.

ჩვენ ვფიქრობთ უფრო გლობალური გავხადოთ მაიაკოვსკის დღეები საქართველოში. ალბათ სხვა ქალაქებშიც მოვაწყოთ მს. შეიძლება პოლიტიკური პოეზიის ფესტივალიც ვუწოდოთ ამ დღეებს, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოებისა და საკავშირო მწერალთა კავშირის დახმარებით დავაწესოთ მაიაკოვსკის სახელობის პრემია, რომელიც მიენიჭება დღეების მონაწილეთა საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებს.

ამ დაუვიწყარ დღეებს გვირგვინივით დაადგა ინტერნაციონალური ლიტერატურული სალამო, რომელიც ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა. მონაწილეებს მიესალმა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. რუხაძე, ხოლო სალამო გახსნა ჯ. ჩარკვიანმა. მან უკრაინელ პოეტს ვ. კოროტიჩს გადასცა სიტყვა... დარბაზში პოეზია მეფობს. ერთმანეთს ენაცვლებიან დღეების მონაწილენი, რუსთაველის, მარჯანიშვილის, მოზარდმაყურებელთა რუსული და ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობები. ლექსი ზეიმობს სხვადასხვა ენაზე.

დღეები დამთავრდა. დამთავრდა დროებით, რადგან შეხვედრები კვლავ იქნება, გაგრძელდება, რადგან გრძელდება ტრადიციები, სიყვარული დიდი მაიაკოვსკისადმი, რევოლუციური პოეზიისადმი.

დ. გედენიძე,
ვ. მარდალეიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორეს-პონდენტები.

სურათზე: შეხვედრა ვ. მაიაკოვსკის დღეების მონაწილეებთან ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საამქროში.

ბ. მაღლაფერიძის ფოტო.

ჯერ ჯერ ...

ბაგა-ბაღების მშენებლობაზე

პატივცემულო რედაქციავ! ჩვენს სოფელ რრპერში განსაკუთრებულ პატივს სცემენ სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის საქმეს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით სასაუზმეს, რესტორანს, მაღაზიას, პავილიონს, სხვადასხვა დანიშნულების სახელოსნოს. ეს ძალიან კარგია, მაგრამ დედებს გული გვტკივა იმის გამო, რომ წლების მანძილზე არავის გახსენებია თუნდაც ერთი სბავშვო ბაგა-ბაღის აშენება, სამუშაოზე რომ მივდიოდართ, ბავშვები ვერსად დავგიტოვებია. ამიტომ სამუშაოზე რომ ვართ, გული შინისაკენ მიგვიწევს, მთელი გულისყურით ვეღარ ვმუშაობთ.

წლევანდელი წელი ბავშვის წელია. იქნებ გვეშველოს და ახლა მაინც აგვირჩიულდეს დედებსა და ბავშვებს დიდი ხნის ნატვრა?

ქალაქ ტყიბულის ზონის სოფელ ორპირის მეცხვრებნი: **ლილი ბერაძე, დალი კირკიტაძე** და **მანანა ბუხაიძე.**

ორპირის გამსხვილებული სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელიც ცხრა კოლმეურნეობის შეერთებით შეიქმნა, ერთ-ერთი დიდი და მძლავრი მეურნეობაა ქალაქ ტყიბულის ზონაში. აქაური კოლმეურნეები ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს. შარშან ორპირელმა ქალებმა 1800 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს. უხვი მოსავლისათვის ბრძოლა წელსაც ახალი ძალით გაჩაღდა.

სოფლის მშრომელებს, ყველაზე მეტად ახალგაზრდა დედებს გული სტკივათ იმის გამო, რომ ამოდენა სოფელში, სადაც ათასამდე კომლი ცხოვრობს, სბავშვო ბაგა-ბაღის აშენებისათვის არავინ იზრუნა. არა და აქ სბავშვო დაწესებულებების მშენებლობის სანაცვლოდ კარგა ხანია დღის წესრიგში დგას. ამის თაობაზე ჯერ კიდევ ათი წლის წინათ რესპუბლიკურ პრესაში დაიწერა, ითქვა სოფლის ყრილობაზე, სასოფლო საბჭოს სესიაზე. მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ორი წლის წინათ ზონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მესვეურებმა საქმის მკვდარი წერტილიდან დაძვრა განიზრახეს. საპროექტო ინსტიტუტში „საქკოლმეშენაროექტში“ გაგზავნეს თხოვნა 50-ადგილიანი ბაგა-ბაღის დაპროექტებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის შესახებ. კაცმა რომ თქ

პროგლემა: დავძლიოთ სოფლად ცუთფლედის სამ ფელიფადში გამოვლენილი ნაკლოვანებანი!

რა რეზერვები გვაქვს?

გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი რ. ურჯუმელაშვილი

მეათე ხუთწლედის დამთავრებამდე წელიწად-ნახევარი დარჩა. ახლა, ამ ეტაპზე თვალნათლივ ჩანს, თუ რა გაკეთდა ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადნახევარში და რა დაგვრჩა გასაკეთებელი დარჩენილ წელიწადნახევარში. აშკარად ჩანს ისიც, თუ რამ გამოიწვია და როგორ უნდა გამოვასწოროთ ესა თუ ის ნაკლი.

რა რეზერვები გვაქვს? როგორ ავამოქმედოთ ისინი? — აი ის კითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გავცეთ. და რაც მთავარია — ნათქვამ სიტყვას მეტი ფასი უნდა მივცეთ და საქმედ ვაქციოთ.

დავიწყოთ იმით, თუ რა გავაკეთეთ სამ წელიწადში. რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის სამი წლის გეგმა შეასრულეს 101,6 პროცენტით, ბაღჩეულისა — 102,6, ხორცისა — 104,4, რძისა — 101,3, კვერცხისა — 105, აბრეშუმის პარკისა — 100,2 პროცენტით. ამ წარმატებებს ერთობ აფერმკრთალებს ის ფაქტი, რომ ჩვენ დავალება ვერ შევასრულეთ რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგში — მევენახეობაში, აგრეთვე მეხილეობასა და მებოსტნეობაში.

თქმა იმისა, რომ ჩვენმა მევენახეებმა ზვრეს გარჯა და ენერგია დააკლეს, სწორი არ იქნებოდა. არა, მათ რომ საქმე გულთან მიაქვთ, ხელს არ აკლებენ ზვარს, თვალისჩინივით უფრთხილდებიან და უვლიან ვაზს, ამის დასტურია ყვარლელ მეზვრეთა შარშანდელი შედეგი. გეგმით გათვალისწინებული 38.000 ტონისა, და ვალდებულებით ნაკისრი 40.000 ტონის ნაცვლად, მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 53.000 ტონა ყურძენი. საკულისმოა ისიც, რომ შარშან ვენახების საშუალო ჰექტარობრივმა მოსავალმა სამჯერ გადააჭარბა 1977 წლის დონეს. ამასთან რაიონის თორმეტივე საზოგადოებრივმა მეურნეობამ დიდი გადამეტებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დავალება. თუმცა, როგორც ვთქვით, მიღწეულმა დონემ ვერ დაფარა წინა ორი წლის დანაკლისი, რაც ძირითადად უამინდობით იყო გამოწვეული. მთლიანად ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში სახელმწიფო მარნებს 86.418 ტონა ყურძენი ჩაბარდა. ხუთწლედის ბოლო ორ წელიწადში 120.500 ტონა ყურძენი უნდა ჩაბარებოდა, რომ ხუთწლიანი გეგმა შესრულდეს. ჩვენი მევენახეების წელევანდელი საბრძოლო მოჯნაა დაამზადონ 60.000 ტონა ყურძენი. ამით ხუთწლედის პირველი ორი წლის დანაკლისი დაიფარება.

თქმა არ უნდა, ამოცანა ძალზე რთულია, მაგრამ რეალური. ამის საფუძველს რაიონის მევენახეობაში არსებული ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები გვაძლევს. რა არის ეს რეზერვები? პირველ — ეს არის სმენჩრის სრული ლიკვიდაცია, რისთვისაც ქმედითი ღონისძიებანი ხორციელდება რაიონში. მაგალითად, შარშან შემოდგომისათვის ჩვენს ზვრებს 3,3 მილიონი ძირი ვაზი აკლდა და სმენჩხრე 22 პროცენტს შეადგენდა. შარშან დეკემბერში გამართულ რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე საფუძვლიანად გაანალიზეთ მევენახეობაში შექმნილი ვითარება და დავსახეთ სმენჩხრის ლიკვიდაციის კონკრეტული ღონისძიებანი. ჩვენმა მევენახეებმა რაციონალურად გამოიყენეს გასული ზამთრისა და წლევანდელი გაზაფხულის დრიანი დღეები. ამის შედეგად რაიონის ზვრებს გადაწვენით, გამორგვით და მხრის გაგრძელებით 2.495 ათასი ძირი ვაზი შეემატა, რითაც სმენჩხრე 17,6 პროცენტამდე შემცირდა. ჩვენ კვლავაც ასე წარვმართავთ მუშაობას და უკვე მომავალ წელს ვენახების არც ერთი რიგი არ იქნება მეჩხერი.

ჩვენი მეორე დიდი რეზერვია 2.532 ჰექტარი ახალშენი ვენახი. ახალშენი ზვრები ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში შეემატა რაიონის ვენახებს. ეს ვენახები წელს და გაისად მნიშვნელოვან მოსავალს მოგვცემს, მესამე და ალბათ ყველაზე ანგარიშგასაწევი რეზერვია ვენახების საშუალო ჰექტარობრივი მოსავლის გადიდება. შარშან რაიონში საშუალოდ ჰექტარზე 61,4 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ, ცალკეულ მეურნეობებში კი მოსავალი გაციცენით მეტი იყო. მაგალითად, გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა ჰექტარზე საშუალოდ 93,3 ცენტნერი ყურძენი მოიწიეს, „ქინძმარაულის" მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში კი 72 ცენტნერი. მაგრამ ჩვენს მევენახეებს კარგად ესმით, რომ მიღწეული შედეგები ჩვენი ზვრების შესაძლებლობათა მაქსიმუმი არ არის. გვაქვს ჩვენი მეზობლების — გურჯაანელი მევენახეების გამოცდილება, რომლებმაც შარშან თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 100-დან 200 ცენტნერამდე ყურძენი მიიღეს. უახლოეს ხანში ჩვენც მივაღწევთ ამ მიჯნებს.

რამდენიმე სიტყვა მეცხოველეობაზე. მეცხოველეობა იყო და არის ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი, რომელიც სულ უფრო თვალსაჩინო ადგილს იკავებს როგორც რესპუბლიკის, ისე რაიონის ეკონომიკაში. რაიონის მეცხოველეებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ხუთწლიანი გეგმის სამი წლის დავალებანი. მაგრამ ეს დამშვიდების საბაბს სრულიადაც არ გვაძლევს. პირიქით, თუ არა მიზანსწრაფული, დაუდალავი გარჯა, სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნება იმ მიჯნების დაძლევა, რომლებიც ხუთწლედის ბოლო ორ წელიწადში გვაქვს დასახული მეცხოველეობაში.

უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მკვეთრ გადიდებას. სწორედ მეცხოველეთა საკითხებს მიეძღვნა რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზეც დავამტკიცეთ დარგის შემდგომი აღმავლობის ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებათა გეგმა. ამ გეგმით დასახულია, რომ ხუთწლედის ბოლოს საზოგადოებრივ მეურნეობებში გვყავდეს 6.000 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 11.000 სული ღორი, 9.500 სული ცხვარი. აქედან ფური უნდა იყოს 1.850, ქუბი — 1.170, ნერბი — 6.000 სული, ხოლო მოქცეული 50.000 ფრთა. გაისად თითოეული ფურის საშუალო წველადობამ უნდა მიაღწიოს 1.700 კილოგრამს, ხოლო თითოეული ქათმის კვერცხმდებლობამ — 150 ცალს. ამის კვალობაზე მატულობს სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების მიყიდვაც. მაგალითად, მომავალ წელს საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უნდა დაამზადონ 1.100 ტონა ხორცი და 3.200 ტონა რძე. წლევანდელი გეგმა კი 880 ტონა ხორცისა და 2.750 ტონა რძის დამზადებას ითვალისწინებს. უფრო მაღალი მიჯნები გვაქვს დასაძლევი მომავალში, კერძოდ, 1985 წელს სახელმწიფოს მიეყიდით 2.200 ტონა ხორცს და 4.300 ტონა რძეს.

შეგვიწევს კი ამ ამოცანების პრაქტიკული რეალიზაციის უნარი?

როცა ჩვენი შესაძლებლობანი გავაანალიზეთ, ამ კითხვას რეალური და მტკიცე პასუხი გავეცით — შეგვიწევს! და, აი რით:

რაიონის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობას მაქსიმალური რაოდენობით ეყოლება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ღორი და ფრინველი. ამ მხრივ პირველი პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გადაიდგა — ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნა ფერმა, სადაც 50 სული ფური ჰყავთ. ანალოგიური ფერმები წელსვე შეიქმნება გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, ეთერზეთების მეურნეობა-ქარხანასა და მთისძირის სანერგე მეურნეობაში.

შილდის, გავაზის, ჰიკაანის კოლმეურნეობებსა და „ქინძმარაულის" საბჭოთა მეურნეობას ეყოლებათ 450 სული სახორაც ფურკამეჩი. აქ ზაქენს საძოვარზე გამოზრდიან და სახელმწიფოს ჩაბარებენ, როცა მათი — წონა 350-400 კილოგრამს მიაღწევს.

მეღორეობა რაიონში უნდა გადავაქციოთ ხორცის მწარმოებელ ძირითად ბაზად. ამ მიზნით გათვალისწინებული გვაქვს გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში არსებულ ღორის სასუქებელ პუნქტთან შეექმნათ გოქების გამოსაზრდელი ფერმა-რეპროდუქტორი, სადაც რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობებიდან თავს მოუყრიან 2 თვის ასაკის გოქებს, რომლებიც სასურველი წონის მიღწევის შემდეგ გადაეცემა სასუქებელ პუნქტს. უკვე 1980 წელს მეურნეობებმა რეპროდუქტორს უნდა გადასცენ 5.100 გოქი, ხოლო 1981 წლიდან ყოველწლიურად — 10.250, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ყოველწლიურად მივიღოთ 900 ტონა ხორცი. მკვეთრად უნდა განვითარდეს საკარმიდამო მეცხოველეობა. ამ მიზნით წლეულს რაიონის მოსახლეობას მიეყიდება 2.200 სული გოქი და 700.000 ფრთა ერთი დღის წიწილა. საკუთარი წარმოების საკვების გარდა მშრომელებს პირუტყვის საკვებად მიეცემათ 1.500 ტონა უხეში საკვები. ყველა მეურნეობა სასოფლო საბჭოებთან ერთად გამოყოფს მწყემსებს მოსახლეობის პირუტყვის მოვლა-პატრონობისათვის. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი რაოდენობის დამატებითს პროდუქციას მოგვცემს.

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ 800 სული ფურისათვის განკუთვნილ ბალღოჭიანის სარძეო კომპლექსზე, რომელიც უკვე ჩადგა მწყობრში და რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, რაიონში რძის წარმოების მთავარ კონვეიერად უნდა გადაიქცეს.

როცა მეცხოველეობის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, განუხრელად ვხელმძღვანელობთ სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მითითებით — „ყველაფერი, რაც მეცხოველეობამ უნდა მოგვცეს — მეტი ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები, — საბოლოო ანგარიშით, რა თქმა უნდა, იმაზეა დამოკიდებული, რომ საკმაოდ გვქონდეს საკვები, თანაც მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი საკვები". ამ მიზნით დაგეგმილი გვაქვს წლეულს რაიონში დავამზადოთ 5.000 ტონა თივა, 7.000 ტონა სენაჟი, 14.000 ტონა სილოსი, 5.000 ტონა ძირხვენები, 7.000 ტონა ნამჯა და ჩალა. ვფიქრობთ, საკვების ეს რაოდენობა საკმარისი იქნება რაიონის საზოგადოებრივი პირუტყვისათვის.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ვიმედოვნებთ 1978 წელთან შედარებით ხორცის წარმოება გავადიდოთ 80 პროცენტით, რძისა — 87 პროცენტით და კვერცხისა — 2,6-ჯერ.

ზემოთაც ვთქვით, რომ ვერ შევასრულეთ ხილის დამზადების სამი წლის გეგმა. ნაცვლად 14.135 ტონისა, ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში სახელმწიფოს მიეყიდეთ 12.027 ტონა ხილი, ანუ 2.108 ტონით ნაკლები. წელს და გაისად კი უნდა დავამზადოთ 12.345 ტონა, რასაც ემატება წინა სამი წლის „ვალიც". აქედან ნათელია, რომ მეხილეობაშიც დიდი ამოცანების წინაშე ვდგავართ. ამ დავალების შესასრულებლად უკვე შევუდექით რადიკალურ ღონისძიებათა განხორციელებას. ამოცანა ასე დგას — რადაც უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ ერთხელ და საბოლოოდ უნდა ვისწავლოთ ხეხილის მოვლაც. მით უმეტეს, რომ ვვაქვს ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კარგი გამოცდილება, სადაც ყოველწლიურად, სტაბილურად გადაჭარბებით სრულდება ხილის წარმოებისა და დამზადების გეგმები, ჩვენ უნდა შევძლოთ და კიდევაც შევძლებთ მეხილეობაშიც მივაღწიოთ მკვეთრ გარდატეხას.

რაიონის მშრომელებმა ბევრს მიაღწიეს ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში, კიდევ ბევრი საქმე გვაქვს მომავალში, რომელთა განხორციელებაც იმედიანად გვესახება.

საუბარი ჩაიწერა „კომუნისტის" საკუთარმა კორესპონდენტმა

დ. გერგიშვილმა.

„კომუნისტის" მოკლე ტარი

ეკონომიკური ინფორმაციის ბიულეტენი

ენერგეტიკული კრიზისი და პრეზიდენტის პოპულარობა

გასულ ხუთშაბათს ბევრმა ამერიკელმა შეცვალა საღამოს გეგმები და აღარ მიუჯდა ტელევიზორს — თეთრმა სახლმა ოფიციალურად გამოაცხადა, პრეზიდენტმა ერისადმი მიმართვა გადადოო.

კარტერმა გამოსვლას კი იმედნარევი უნდობლობით ელოდა მილიონობით ამერიკელი. ელოდა იმიტომ, რომ ყველამ იცოდა — კემპ-დევიდში ჩაკეტილი პრეზიდენტი ენერგეტიკულ პროგრამას ჩაჰკერკეტებდა და პრაქტიკულად გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა. ძნელია იმის მტკიცება, თეორიულად მაინც თუ არსებობს საამისოდ რაიმე პანაცეა, მაგრამ, როგორც ჩანს, პრეზიდენტმა კარტერმა ხალხისათვის სასიკეთო სათქმელი ვერაფერი გამონახა.

პრეზიდენტს ვერც კენტუკში, თავიანთ კონფერენციაზე შეკრებილი გუბერნატორები ინილავენ — კარტერმა მათ წინაშე გამოსვლაც გადაიფიქრა. თეთრი სახლის პრეს-მდივნის ჯოდი პაუელის განცხადებით პრეზიდენტი კიდევ რამდენიმე დღეს დარჩება თავის საზაფხულო რეზიდენციაში, რათა უახლოეს თანამშრომლებთან ერთად საფუძვლიანად შეისწავლოს „ენერგეტიკული კრიზისი, მისი გამომწვევი მიზეზები და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებები".

მდგომარეობა კი, მართლაც რომ საგანგებოა. გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის" აზრით „1932 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ამერიკაში არასოდეს არ ყოფილა ასეთი შეძრწუნება, უთანხმოება და დაუფარავი შიში".

საინტერესოა, რომ შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით შარშან ასე გამოიყურებოდა ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსი (პროცენტობით): ქვანახშირი — 18,0, ბუნებრივი გაზი — 24,4; ნავთობი — 48,8; ჰიდროელექტროენერგია— 4,0; ბირთვული ენერგია — 3,9; გეოთერმული და სხვა სახის ენერგია — 0,4.

როგორც ვხედავთ, ნავთობის „ბატონობა" განუყოფელია და ეს ბუნებრივიც არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე სამინისტროს მონაცემებით შარშან ამერიკაში მოიხმარეს 77,7 კვადრილიონი პირობითი თბოერთეული, რაც ნავთობზე გადაყვანით ყოველდღიურად 37,7 მილიონ ბარელს უდრის (ერთი ბარელი 159 ლიტრია).

იმავე შარშანდელ წელს ბენზინისა და სხვა ნავთობპროდუქტების საერთო მოხმარებამ ყოველდღიურად 18,7 მილიონი ბარელი შეადგინა, ქვეყანაში კი დღეში მხოლოდ 8,7 მილიონი ბარელი ნავთობი მოიბოვება. ესე იგი ყოველდღიურად იხარჯება 10 მილიონი ბარელი იმპორტირებული ბენზინი და სხვა ნავთობპროდუქტი!

ბუნებრივია, რომ ასეთ დატვირთვას ძნელად თუ გაუძლებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ შექმნილ სიტუაციაში ამერიკის ნავთობის წმაყვანმა კომპანიებმაც შეიტანეს თავიანთი „წვლილი". ამერიკელთა უმრავლესობა სწორედ მათ მიიჩნევს გარეთულებათა მთავარ მიზეზად. აბა სხვაგვარად რითი აგხსნათ, ერთი შეხედვით თითქოსდა პარადოქსალური ფაქტი, რომ მაში, როდესაც ქვეყანა ხულს ღაფავს „ნავთობის შიმშილით", მომდინარე წლის მხოლოდ პირველ კვარტალში 81 პროცენტით გაიზარდა „ტექსაკოს" მოგება და 61 პროცენტით — „გალფ ოილისა"?

ყოველივე ზემოხსენებული ცი მართლაც რომ სერიოზულ საფრთხეს უქმნის პრეზიდენტ ჯეიმს ერლ კარტერის „პოლიტიკურ ჯანმრთელობას".

ამას მეკვირვებინა ყველაზე მიგვანიშნებს ტელეკომპანია ეიბი-სის და ჰარისის ავტორიტეტული სამსახურის მიერ ჩატარებული ხაზოგადოებრივი აზრის უკანასკნელი გამოკითხვა. გამოკითხულთა 78 პროცენტს მიაჩნია, რომ კარტერმა თავი ვერ გაართვა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას. ახლა მხოლოდ 15 პროცენტი იწონებს კარტერის ენერგეტიკულ პოლიტიკას, 16 პროცენტი — ეკონომიკურ პოლიტიკას და 14 პროცენტი — მის ანტიინფლაციურ პროგრამას. როგორც ვხედავთ, ჩასაფიქრებელი მართლაც რომ ბევრი აქვს კემპ-დევიდს თავშეფარებულ პრეზიდენტს.

ს. ცინცაძე,

„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.



ზღვა და მებადური

8 ივლისი მებადურის დღეა

...ხელთა მაქვს აზოვ-შავი ზღვის თევზჭერის სამმართველოს მიერ გამოცემული მრავალტირაჟიანი პლაკატი „მეათე ხუთწლედის მოწინავე". სურათზე ალბეჭდილ ვაჟაკაცს ფართოფარფლიანი მებადურის ქუდი ახურავს და სეინერის საქე ჩაუბღუჯავს. ეს აჭარის თევზჭერის სამმართველოს სეინერის „კაპტან-ბრიგადირი გივი უკლებაა. გივის შარშან 50 წელი შეუსრულდა, ამ თარიღთან დაკავშირებით გამოუშვიათ ეს პლაკატი. პლაკატის სამსაიოდე სტრიქონში გადმოცემულია იუბილარის სახელოვანი ამბები. მისი წაკითხვა ადამიანს სიხარულის გრძნობით აღავსებს, რამდენი რამის გაკეთება შეძლებია მებადურს ქვეყნისათვის. მებადური — ნოვატორი, მებადური — ლეგენდა — ასე ახასიათებენ გივი უკლებას. იგი ამ საქმისათვის არის დაბადებული. „საქმემან მისმან გამოაჩინა" კაცი, რომელიც 23 წლის მანძილზე, მთელი შავი ზღვის აუზში პირველობას არავის უთმობდა და დღესაც ერთ-ერთი მოწინავეა. შარშან მისმა ბრიგადამ უკვე შეასრულა მეათე ხუთწლედის დავალება.

... გივი 16 წლის პირტიტველი ყმაწვილი იყო, როცა გემბანზე პირველად დადგა ფეხი და მებადურის პროფესიას ეზიარა. იგი ზღვაზე ბედის საძიებლად არ მოსულა, გატაცებამ მოიყვანა. მებადურობა მხოლოდ რომანტიკული პროფესია როდია, ეს არის ზოგჯერ 7-8 ბალიან ტალღებთან პატარა სეინერით გაფთრებული ბრძოლა, სიკვდილთან პირისპირ შებმა, ეს არის გმირული, თავგანწირული შრომა. მებადურობა — ეს თავისებური მეცნიერებაც არის. კარგი მებადური ისე ვერ გახდები, თუ არ ჩაწვდი ზღვისა და თევზის საიდუმლოს. ღელვის დროს თევზი სიღრმეში ჩადის, ცივ ამინდში ნაპირს ეტანება, ზაფხულში ქვირითის დასაყრელად იფანტება, დიდი მნიშვნელობა აქვს ზღვის დინებას, მთვარეს, წელიწადის დროს. ყოველი ჯიშის თევზს თავისი „ხასიათი" აქვს. მებადური ამ მცნებებს თუ არ ჩაწვდა, ხელოცარული დარჩება. ხდება ხოლმე: რამდენიმე დღე უშედეგოდ „დაეხეტები" უკიდეგანო ზღვის სიცრცეში, შემდეგ სადღაც წაიწყდები თევზის გუნდს, ბადეს ჩაუშვებ, სეინერს ნადავლით აავსებ, და გამარჯვებულს გავიწყდება წინა დღის უნაყოფო ხეტიალი. მაგრამ საბაზო ნავსადგურამდე ისეთი დიდი მანძილია, ზოგჯერ სიხარული ნაადრევი ხდება. ზღვა ისე ხშირად იცვლის „ზნეს", რომ მებადურს თევზი კი არა, თავიც ავიწყდება.

დიახ, ძნელია მებადურის პროფესია, მაგრამ, ამავე დროს, ზღვამ ისე იცის შეყვარება, რომ მეზღვაურს ერთი კვირაც უძნელდება ხმელეთზე ყოფნა. აი 35 წელია გ. უკლება ზღვას ერკინება: — მებადურობას არც ერთ სხვა პროფესიაზე არ გავცვლიო, — ხშირად უთქვამს მას.

ვეტერანი მებადური ყოველთვის შემოქმედებითად უდგება თავის საქმიანობას. ამ ხნის განმავლობაში დაინერგა მისი 50 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიკურმა ეფექტმა 394 ათას მანეთს მიაღწია. ამას ემატება ისიც, რომ შავი ზღვის აუზში არავის დაუჭერია იმდენი თევზი, რამდენიც გივი უკლებას სეინერს აქვს დაჭერილი. ისინი ზოგჯერ ტრალერის ნორმასაც ასრულებდნენ. „ყოველი ხუთწლეული — შრომითი გამარჯვებით!" — ასეთია ბრიგადის დევიზი. მათ მიერ დაჭერილ თევზს თუ დავიჯამებთ, მათ წარმატებით საქმიანობაში ნათლად დავინწმუნდებით.

მებადურებს შრომა ბევრად გაუადვილა თანამედროვე ტექნიკამ. ახლა ყველა სეინერზე დგას ექოჩამწერი „აპარატი, რომელიც აადგილებს თევზის გუნდების მოგნებას. მაგრამ მისი რადიუსი არცთუ ისე დიდია, მთავარი, მაინც, მებადურის ცოდნა და გამოცდილებაა...

იმ დღეს აჭარის თევზჭერის სამმართველოში თათბირი იყო დანიშნული. ექვსი თვე მიიწურა, შედეგებს აჯამებდნენ. თათბირის დაწყებამდე დარბაზში გულახდილი საუბარი გაიმართა.

— უკლება, ქირია, სკოლოზუბოვი გეგმებს თუ წარმატებით ასრულებენ, თქვენ რაღა მოგივიდათ? — სამმართველოს უფროსი ბ. ლომთაძე გულისტკივილით გამოელაპარაკა რამდენიმე მებადურს.

— უკლება ზღვას შეეზარდა, ჩვენ ახლები ვართ.

— ესეც არ იყოს, — დაუმატა მეორემ, — უკლებას პოსეიდონი „სწყალობს", ჩვენ 300-400 მილზე მივდივართ და დიდს ვერაფერს ვნახულობთ, უკლებას აქვე, სუფსის შესართავთან ქარსალის გუნდებისთვის მიუგნია, ამტკიცებდნენ, ქარსალა დიდ გუნდად არ იკრიბებაო, უკლებამ ეს ვერსიაც გააქარწყლა.

გივის სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

— ამბობენ, რაღაც უცნაური ბადე გააკეთაო, გაგვანდე საიდუმლო, — მიმართეს კოლეგებმა.

— ჯერ ვცდი, ცოტა მაცალეთ, თუ გაამართლა, რა თქმა უნდა, „საიდუმლოსაც" გაგიმხელთ, — მიუგო მან.

გივი თათბირის შემდეგ დავიმარტოხელე. ახალი ჩანაფიქრი არც მე გამანდო, დამშვავების პროცესშია, ვფიქრობ ამჯერადაც გამიმართლებსო, მითხრა.

ჟურნალისტის ტრაფარეტული კითხვით მივმართე, შენი საქმიანობიდან ყველაზე უფრო რომელი დღე დაგახსოვდა-მეთქი.

ბევრი არ უფიქრია.

— ეს ხუთიოდე წლის წინათ მოხდა, — დაიწყო მან, — ზაფხული იყო, სამმართველოს მაშინაც გაუძნელდა გეგმის შესრულება. დღედაღამ ზღვაზე დავეხეტებოდით, მაგრამ თითქოს თევზი სადღაც გადაიკარგაო, გუნდებს ვერ მივაგნით. რატომღაც გულმა სოჭისკენ გამიწია. სოხუმს რომ გავცდი, კურსი ზღვის სიღრმისაკენ ავიღე. ალღომ გამიმართლა. დინების მიხედვით მოხტიალე გუნდს წავაწყდი. აი, მაშინ ვინატრე, სად არის-მეთქი ჩვენი მზვერავი თვითმფრინავი, ზემოდან უკეთ შენიშნავდა გუნდის მიმართულებას. ზეცას ავხედე, თვითმფრინავი არ ჩანდა. ისევ გამოცდილებას ვენდე, დინების მიხედვით გზა მოვუჭერით და ბადის ჩაშვება დავიწყეთ. ის იყო წრე შევკარით, რომ ჩვენი თვითმფრინავის გუგუნიც გაისმა. — „სხ-1151", „სხ-1151" რადიოთი ჩამომძახა ნიკოლოზ კარეცკიმ, „დიდი გუნდია, მრავალი ტონა იქნება, ბადე ჩაგიშვიათ, უკეთესს ვერც ინატრებ. ბედნიერ რეწვას გისურვებთ!". თვითმფრინავმა წრე შემოხაზა და გაგვშორდა. ეს იყო ყველაზე სასიხარულო დღე, უამრავი თევზი დავიჭირეთ. სამმართველოში ზეიმით შეგვხვდნენ. ასეთი ნადავლით იმ ზაფხულს არც ერთი სეინერი არ დაბრუნებულა.

საუბრით ნავმისადგომს მივუახლოვდით. სუსტ ტალღებზე გივის სეინერი „სხ-1151" აკვანივით ირწეოდა. გემბანზე კასრებით მარილს ტვირთავდნენ.

— ღამით გავდივართ, ისევ სუფსა-რიონის ზონაში ვფიქრობ რეწვას, იქ თევზი არის. ვნახოთ, ჩემი ექსპერიმენტი რა შედეგს გამოიღებს.

ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, მებადური გივი უკლება ხელცარიელი დაბრუნებულიყოს. როცა მისი სეინერი სარემონტოდ იდგა, მაშინაც ვერ ისვენებდა. რვანიჩბიანი ნავით ჭოროხის შესართავთან მიდიოდა და ტონობით თევზს იჭერდა.

სეინერის კაპიტანი ახლაც მოუსვენრობას შეეპყრო, გული კვლავ ზღვისკენ მიუწევდა.

მ. გორგილაძე,

„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათზე: სეინერის კაპიტან-ბრიგადირი გ. უკლება.

საერთაშორისო ცხოვრება

ლენინის ჟურნალიდან

მდგომარეობა ნიკარაგუაში

ჰავანა, 7 ივლისი. (საკდესი). სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რაზმებმა, რომლებიც წარმატებით ავითარებენ შეტევას, სომოსას ჯარები განდევნეს კარასოს დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრიდან — ჰინოტეპიდან, რომელიც დაახლოებით 40 კილომეტრზე მდებარეობს მანაგუის სამხრეთით.

აჯანყებულებმა ხელთ იგდეს დიდძალი ტყვე, აგრეთვე იარაღი და ტყვია-წამალი.

ახლა ფრონტის ხელშია 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის — რივასი — მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცენტრი ქვეყნის სამხრეთით. მის შემოგარენში ჯერ კიდევ გრძელდება გაფთრებული ბრძოლები.

ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში აჯანყებულნი, რომლებმაც დაიკავეს მთელი რიგი ძირითადი პუნქტები გზებზე და გადაკეტეს დიქტატორის ჯარების კომუნიკაციები, ებრძვიან ეროვნული გვარდიის დანაწევრებულ ნაწილებს.

პატრიოტებმა, აღნიშნულია ნიკარაგუიდან მიღებულ ცნობებში, პრაქტიკულად დაამთავრეს მანაგუის გარემოცვა და მომზადდეს პირობები სომოსას ბუნაგზე მტკიცე შეტევისათვის.

დიქტატორის ავიაცია ბომბავს ქალაქებსა და სოფლებს და თავის გამანადგურებელ ტვირთს ყრის საცხოვრებელ უბნებში.

ვაშინგტონი, 7 ივლისი. (საკდესი). შეერთებული შტატები კვლავ გამალებით ცდილობს „მოაწესრიგოს მდგომარეობა" ნიკარაგუაში იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს აჯანყებულთა გამარჯვებას და თავისი პოზიციები შეინარჩუნოს ამ ქვეყანასა და მთლიანად ცენტრალურ ამერიკაში. როგორც განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ნიკარაგუაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ლ. პეზულო მეხუთედ შეხვდა სომოსას „ქვეყნის ახლანდელი მდგომარეობის" განსახილველად. კოლუმბიასა და ვენესუელაში გაგზავნილია სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვ. ვეეკი, რომელსაც დავალებული აქვს შეხვდეს ამ ქვეყნების ხელმძღვანელებს.

პენტაგონის მთელი რიგი მაღალი თანამდებობის გადამდგარი **პირები** — ადმირალი ტ. მურორი, გენერლები დ. გრეჰემი, გ. სამნერი და ჯ. სინგლაუბი დაემუქრნენ ლათინური ამერიკის ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც სოლიდარობას უცხადებენ ნიკარაგუელ პატრიოტებს და მოითხოვეს ფართო სამხედრო და სხვა დახმარება აღმოუჩინონ სომოსას „კომუნისტთა" ჩახშობისათვის.

პარიზი, 7 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობა მოწმობს, რომ შეერთებული შტატები სომოსას დახმარებას უწევს რეპროდუქტორი, სადაც რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობებიდან თავს მოუყრიან 2 თვის ასაკის გოქებს, რომლებიც სასურველი წონის მიღწევის შემდეგ გადაეცემა სასუქებელ პუნქტს. უკვე 1980 წელს მეურნეობებმა რეპროდუქტორს უნდა გადასცენ 5.100 გოქი, ხოლო 1981 წლიდან ყოველწლიურად — 10.250, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ყოველწლიურად მივიღოთ 900 ტონა ხორცი. მკვეთრად უნდა განვითარდეს საკარმიდამო მეცხოველეობა. ამ მიზნით წლეულს რაიონის მოსახლეობას მიეყიდება 2.200 სული გოქი და 700.000 ფრთა ერთი დღის წიწილა. საკუთარი წარმოების საკვების გარდა მშრომელებს პირუტყვის საკვებად მიეცემათ 1.500 ტონა უხეში საკვები. ყველა მეურნეობა სასოფლო საბჭოებთან ერთად გამოყოფს მწყემსებს მოსახლეობის პირუტყვის მოვლა-პატრონობისათვის. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი რაოდენობის დამატებითს პროდუქციას მოგვცემს.

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ 800 სული ფურისათვის განკუთვნილ ბალღოჭიანის სარძეო კომპლექსზე, რომელიც უკვე ჩადგა მწყობრში და რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, რაიონში რძის წარმოების მთავარ კონვეიერად უნდა გადაიქცეს.

როცა მეცხოველეობის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, განუხრელად ვხელმძღვანელობთ სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მითითებით — „ყველაფერი, რაც მეცხოველეობამ უნდა მოგვცეს — მეტი ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები, — საბოლოო ანგარიშით, რა თქმა უნდა, იმაზეა დამოკიდებული, რომ საკმაოდ გვქონდეს საკვები, თანაც მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი საკვები". ამ მიზნით დაგეგმილი გვაქვს წლეულს რაიონში

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მონროვია, 7 ივლისი. (საკდესი). ლიბერიის დედაქალაქში მიმდინარეობს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრთა საბჭოს მორიგი სესია. სესიის მონაწილეებმა უნდა შეიმუშაონ დღის წესრიგი აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-16 სამმბლეისათვის, რომელიც აქ გაიხსნება 17 ივლისს.

აფ

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმმა დაწვრილებით განიხილა კაპიტალური მშენებლობის ადგილობრივი ამოცანები.

უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი შარშან, კაპიტალურ მშენებლობაში მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებები მოხდა. ფართოდდება ამ დარგის ინდუსტრიალიზაცია, უმჯობესდება სამშენებლო ორგანიზაციების ფონდიჭურვილობა და მაღლდება მიი გამოყენების დონე, ინერგება ახალი ტიპობრივი პროექტები, უფრო ფართოდ ინერგება ეფექტიანი კონსტრუქციები, მასალები და ტექნოლოგიური პროცესები, მატულობს ნაგებობათა ხარისხობრივ ნაგებობათა ეფექტიანობა, იზრდება შრომის ნაყოფიერება.

თუ მეცხრე ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში საკუთარი ძალებით 1.898 მილიონი მანეთის ოდენობა სამუშაოები შესრულდა, მეათე ხუთწლედის იმავე ეტაპზე შესრულებულია 2.573 მილიონი მანეთისა.

შარშან კაპიტალურმა დაბანდებამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 1.590 მილიონი მანეთი შეადგინა ანუ 1977 წელთან შედარებით 3 პროცენტით გაიზარდა.

მიღწეულ წარმატებათა მიუხედავად, კაპიტალურ მშენებლობაში ჯერ კიდევ ხდება სახსრების და ძალების დაქსაქსვა, თავს არ უყრიან მათ სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვან სამეურნეო ობიექტებზე. შარშან მთელ რიგ მშენებლობებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ნელი ტემპის გამო ამოქმედებულ სიმძლავრეები დაგვიანებით ვადებში ვერ ამოქმედდა. მათი მშენებლობა დღესაც გრძელდება. ასეთი მდგომარეობა, ბუნებრივია, აძნელებს მიმდინარე წლის გეგმაში შეტანილ მშენებლობაზე სამუშაოთა პროგრამის მთლიანად შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიაზე გამოხმელს და დაამტკიცეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმა. ეროვნული ხუთწლედის მეოთხე წლის ასახული გრანდიოზული გეგმის განხორციელებაში დიდ როლს ასრულებს კაპიტალური მშენებლობა. შარშან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ მთლიანად მეათე ხუთწლედის ბედი ბევრად არის დამოკიდებული მშენებელთა მუშაობაზე. დაგეგმილი აუცილებლად უნდა ამოქმედდეს.

1979 წლის იანვარ-აპრილში ძირითადი ფონდების ამოქმედების ნახევარი წლის გეგმა მხოლოდ 34 პროცენტით შესრულდა. არ შესრულებულა კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ოთხი თვის გეგმები. კაპიტალური დაბანდებანი ადგილობრივ ადგილებში ბანაო მშენებლობაში, ამასთან ადგილობრივი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის ნახევარი წლის გეგმა იანვარ-აპრილში მხოლოდ 28 პროცენტით შესრულდა.

კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლება დიდად ხელს დამოკიდებული დაუმთავრებელი მშენებლობის როგორც შემცირებაზე, ისე ნორმალურ ვადებში დასრულებაზე. ჯერჯერობით რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში ამ მხრივ მდგომარეობა სახარბიელო არ არის მაგალითად, 1975 და 1977 წლების დამლევს დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობამ ჩვენს რესპუბლიკაში კაპიტალური დაბანდების წლიურ მოცულობასთან შედარებით შესაბამისად 108 და 112 პროცენტი შეადგინა. ეს მნიშვნელოვნად აღემატებოდა შესაბამის საკავშირო მაჩვენებლებს.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ასამოქმედებელ მშენებლობებზე გარკვეული მუშაობაა გაწეული კაპიტალურ დაბანდებათა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კონცენტრაციისათვის, ერთდროულად მშენებარე ობიექტების შემცირების გზით. ამ ტენდენციას ითვალისწინებს მიმდინარე წლის გეგმაც.

სრულიად საწინააღმდეგო სურათი გვაქვს სამინაო მშენებლობაში. ამ უკანასკნელ პერიოდში წლის დამდეგისათვის მარაგნამეტი ნორმატიულზე გაცილებით ნაკლებია. კი ხელს უშლის წლიური გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა მთლიანად ათვისებას. ამგვარი საშიშროება მიმდინარე წელსაც არსებობს.

მშენებლობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება რატომული მუშაობის დაგეგმვასა და ორგანიზაციას. სამწუხაროდ, წლიდან წლამდე იგეგმება სამშენებლო ორგანიზაციების ურიცმო მუშაობა. ასე მოხდა წელსაც, როცა პირველ კვარტალში გაითვალისწინეს ძირითადი ფონდების წლიური დავალების მხოლოდ 7,4 პროცენტის ამოქმედება. ამგვარად იყო დაგეგმილი კაპიტალური დაბანდების წლიური პროგრამის მხოლოდ 18 პროცენტის ათვისება და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 20 პროცენტით შესრულება. უფრო მეტიც — პირველ კვარტალზე მოდის საცხოვრებელი სახლების ჩაბარების წლიური მოცულობის მხოლოდ 8 პროცენტი! **სწორედ ასეთმა მცდარმა დაგეგმვამ გაანპირობა, რომ ყველა უმნიშვნელოვანესი ობიექტის საწარმოო სიმძლავრეების და ძირითადი ფონდების ამოქმედება მიმდინარე წლის IV კვარტალშია გათვალისწინებული. ეს იწვევს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და სამშენებლო პროდუქციის ხარისხის გაუარესებას!**

ობიექტების რატომულ ამოქმედებას და მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლებას ეზრუნველყოფს უწყვეტი დაგეგმვის მეთოდი. ჩვენს რესპუბლიკაში ჯერჯერობით ჯეროვნად არ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციები ორიოლელთა ორწლიანი უწყვეტი დაგეგმვის გამოყენების შესახებ. საბინაო მშენებლობაში ამ მეთოდის ნაწილობრივ იყენებენ, რასაც სამრეწველო მშენებლობაზე ვერ ვიტყვით. დაგეგმვის ნაკლოვანებანი განსაკუთრებით გამოკვეთილია სამრეწველო მშენებლობაში. აქ ობიექტებისა და სიმძლავრეების უმრავლესობას საექსპლოატაციოდ წლის ბოლოს გადასცემენ ხოლმე. ხშირად ასეთი ობიექტები ბარდება დიდი ხარჯებით, მათი ათვისება კი ნელი ტემპით ხდება. მიმდინარე ხუთწლედშიც მიზანშეწონილია უწყვეტი ორწლიანი დაგეგმვის მეთოდზე რესპუბლიკის საბინაო-სამოქალაქო და სასოფლო მშენებლობის მთლიანად გადაყვანა და სამრეწველო მშენებლობაში ნიადაგის მომზადება.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია განვახორციელოთ გადასვლა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა საქმიანობის დაგეგმვისა და შეფასებაზე, დამთავრებული და შემკვეთებისათვის გადაცემული მზა ობიექტებისა და ასამოქმედებელი კომპლექსების მიხედვით. მთელ მშენებლობაში ამ მეთოდზე გადასვლა მოითხოვს წლეულს დამთავრდეს სამშენებლო ორგანიზაციების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანა. მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი ღონისძიება ჯერ კიდევ მეცხრე ხუთწლედში უნდა განხორციელებულიყო. 1978 წელს ახლებურად მუშაობდა სამშენებლო ორგანიზაციების ოთხი მეხუთედი. **მშენებლობაში ეკონომიკური რეფორმის მთლიანად გატარებისთანავე გეგმის მთავარი მაჩვენებელი უნდა გახდეს სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების მაჩვენებელი ნატურალური და ღირებულებითი გამოხატულებით. ეს მშენებლობის მონაწილეებს საშუალებას მისცემს მთელი ყურადღება გადაიტანონ დასამთავრებელ ობიექტებსა და ძირითადი ფონდების ამოქმედებაზე ადამიანი და გარემო**

გარემოს დაცვა დედამიწელთა უპირველეს პრობლემად იქცა. ვინ უწმენდოს, როგორ ვუწმენდოთ დაჭრილ ბუნებას? ეს კითხვა აღელვებს ყველას.

ასეთ ვითარებაში საჭიროა და სასარგებლო იმის ცოდნა, თუ ვინ, სად და როგორ იღვწის გარემოს დაცვისა და გამდიდრებისათვის, რომ ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის თითოეული სასიცოცხლო ფაქტი საერთო ყურადღების საგანი გახდეს.

კონკრეტული, ხელშესახები მასალების მოპოვება და განზოგადება — აი დევიზი, რომელსაც მიზნად ისახავდა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარემოს დაცვის პრობლემური ცენტრისა და საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების პირველი გაერთიანებული ექსპედიცია „დაჭრილი ბუნება“. ცამეტმა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელმა ერთად მოიარა და შეისწავლა საქართველოს ცხრამეტი რაიონი, 27 მდინარე, 8 ტბა, 7 წყალსაცავი, 10 კაშხალი, ბუნების მრავალი ძეგლი.

მარშრუტი გადიოდა მდინარე მტკვარზე, შემდეგ რიონის აუზსა და ზღვის სანაპიროზე. არჩევანი შემთხვევითი არ არის, ამბობენ, წყალში ბუნების ყოველი გასაჭირი ისევე იჩენს თავს, როგორც ადამიანის სისხლში ავადმყოფობაო.

ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციების, ბუნების დაცვის საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების და გარემოს გულშემატკივართა დახმარებით ექსპედიციის თითოეულ წევრს საშუალება მიეცა საკუთარი პროფესიის თვალთაზედვით წარმოჩინა ამა თუ იმ ობიექტის ავ-კარგი, გაცნობოდა ბუნების ქომაგებს, შეისწავლა და შეეფასებინა მათი ნაშრომ-ნაღვაწი.

საქართველო თვითმყოფადი კულტურისა და მეურნეობის ქვეყანაა. გარემოს მოვლა-პატრონობას აქ ოდითგანვე საანდო ყურადღება ეთმობოდა, მაგრამ ეს პრობლემა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა.

საუკუნეთა მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ოეკონომიური გამოყენების ტრადიცია: ხატის ტყეების და წმინდა ადგილების ხელუხებლობა, ნადირ-ფრინველთა გარკვეული რიცხვის მოპოვების შემდეგ თოფის დამარხვა, მაის-აგვისტოში, ანუ ტოფობის ჟამს თევზის ჭერის აკრძალვა, ოჯახის ბიუნეიერების აღსანიშნავად ხეების დარგვა, მიცვალებულის მოსაგონარი წყაროების მოწყობა და სხვა.

და ექსპედიციამაც ადგილებზე ბევრი მსგავსი ტრადიცია აღნუსხა: სოფელი ოლიანგი (წალკის რაიონი) ასორმოცდაათი წლისა თვალსაჩინოვით უფრთხილდება წყაროს, სადაც ალმახები ბუდობენ; ძმები ოგანესიანები (ვანძანი, ბოგდანოვკის რაიონი) რამდენიმე ათეული წელია გადამფრენ ფრინველებს — ლაკლაკებს „მასპინძლობენ“, ჩქვალერის (წალენჯიხის რაიონი) მკვიდრმა მანჩა ფიფიამ იმითაც გვითქვა სახელი, რომ წყაროებს აშენებდა. ტყიბულელმა ალექსანდრე მორჩაძემ თვრამეტი წლის თავდადებული შრომით ბაონარად აქცია ტერიკონი — შახტიდან გადაქცევა მას დაჭრილი ბუნების დიდ ქომაგად წარმოაჩენს.

პეტრე ჭაბუკიანის დარად იღვწიან პედაგოგები ზაქარია დევსურაშვილი (მანგლისი), აკოპ მიქაელიანი (წალკა), ქეთევან კოპაძე (ახალციხე), პისტი ფიფია (ჯვარი), მეტყველები ვლადიმერ ზედგინიძე (ახალქალაქი), შალვა გრიგალაშვილი (ადიგენი), მიხეილ ქოქოსაძე (ტყიბული) და ავთანდილ ქაჯაია (ქუთაისი), შშენებელი მიხეილ გელიაშვილი (აბასთუმანი), აგრონომი ალექსი მორჯიკელი და ლითონმცოდნე ზაქარია მახარაძე (ბორჯომი), ექთიოლოგი ვლადიმერ დობრუგოვი (წალკა), ისტორიკოსი შამშე ქვეანიშვილი, ექიმი ალექსანდრე აბუთიძე (ამბროლაური), ჟურნალისტი ვანო გოგიანარი და გააშენა დიდებული ტყე-პარკი — ნასაკირალი.

ადგილებზე გარემოს დაცვის საქმეს უძღვებიან ახალშექმნილი, მაგრამ უკვე ავტორიტეტული და კომპეტენტური ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციები, რომელთა მესვეურები ვალინა კაზარიანი (ახალქალაქი), შალვა ხატიძე (ახალციხე), ჯანიკო დარსაძე (ტყიბული), ზურაბ გუმბარიძე (ქუთაისი) ერთიანი და ფართო ფრონტით მოქმედებენ, შესწავლილი აქვთ თავიანთი რეგიონების ავიც და კარგიც, ისწრაფვიან კარგის დასანერგად, ავის აღსაკვეთად.

მამულის ძალა და ძლიერება თითოეული ოჯახის, თითოეული მოქალაქის გაერთიანებულ შრომა-გარკვაზეა დამოკიდებული, ამიტომ ყველა ეზო-კარში გარემო ბუნების გამდიდრებისა და გამშვენიერების დიდი წადილი უნდა ჩანდეს. ამ მხრივ მუდამ სანიმუშო იქნება მცხეთელი მინდიას — მიხეილ მამულაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. საქართველოში ჩანს მრავლად არიან მისი მიმდევრები საკუთარ თუ დაწესებულების ეზო-კარს ეგზოტიკური მცენარეებითა თუ ეთნოგრაფიული საგნებით რომ ამშვენებენ: ალექსი პოლიხრონიდი (წალკა), ალექსი ჯაფარიძე, ვახტანგ იაშვილი (ამბროლაური), ვასილ კირკიტაძე (ტყიბული), ვანო ჭუბაბაშვილი, მერაბ ბოტება (ბიჭვინთა).

ექსპედიციამ თავის შეფვრს წარუდგინა სრული ანგარიში. ეს არის საველი ძიების, დაკვირვებისა და რეკომენდაციების კრებული, რომელსაც თან ახლავს დოკუმენტები, სქემები, ფოტოსურათები.

ა ი ერთი რეკომენდაცია — თითოეული მდინარე, ტბა, წყალსაცავი ფშანით, წყაროთი იწყება, ასე რომ სათავიდანვე უნდა ვზრუნავდეთ მათი სიწმინდისათვის: იქნებ ვაქციოთ წესად, რომ სახალხო მეურნეობის თუ კულტურის სხვადასხვა დარგში მოპოვებულ შედეგებთან ერთად ვაჯამებდეთ, თუ როგორ უფრთხილდება ესა თუ ის ადამიანი, ოჯახი, უბანი, სოფელი, ქალაქი წყალს — წყაროს, მდინარეს, ტბას, წყალსაცავს.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარემოს დაცვის პრობლემური ცენტრის პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა თავიანთ სხდომებზე მოისმინეს ექსპედიცია „დაჭრილი ბუნების“ ანგარიში და გადაწყვიტეს მოეწყოს ბუნების ქომაგთა პირველი რესპუბლიკური შეკრება. მათს მდიდარ გამოცდილებას, ყოველივე ძვირფასსა და სასარგებლოს რეკომენდაცია მიეცემა ცხოვრებაში დასანერგად.

ამიტომ უნდა ვიცნობდეთ ყველა ბუნების ქომაგს და ჩვენს მკითხველებს ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ: გვაპოვნინეთ ასეთი ადამიანები, მოგვწერეთ მათ შესახებ, მათს კონკრეტულ და დიდმნიშვნელოვან საველიშვილო საქმეებზე. მოგვწერეთ თქვენი დაკვირვებანი წინადადებები, შთაბეჭდილებანი ასეთი მისამართით: 380018, თბილისი, საქ. სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, წარწერით — ექსპედიციას „დაჭრილი ბუნება“.

გ. მანია,
ჟურნალისტი, ექსპედიცია „დაჭრილი ბუნების“ უფროსი.

დაჭრილი ბუნების ქომაგები

ამოღებული ფუჭი ქვაბით დაფარული 12 ჭეტარი ფართობი.

ამბროლაურის რაიონში წესად დაამკვიდრეს შინმოოსვლელთა სახელობითი ზეიმი დარგვა-გახარება. ბიჭვინთაში გაშენდება ახალშობილთა პარკი.. ყველა ამ თაოსნობას შეფობას უწევენ პარტიისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, სკოლები და სამეურნეო ორგანიზაციები.

ამავე დროს საქართველოს მრავალ სოფელს თუ ქალაქს ამშვენებს ეკალეული მოქალაქეების, ბუნების ქომაგთა რუდუნებით ნამუშევარი.

საქართველოს ბუნების ერთადერთი უპირველესი ქომაგი, რა თქმა უნდა, 90 წლის პეტრე ჭაბუკიანია (ქუთაისი).

სიცოცხლეში დასახული მართალი საქმის ბოლომდე ერთგული და განმახორციელებელი, იგი ბუნების სიყვარულით გულანთებულ ახალგაზრდებს ზრდობრივი გმირივით უნათებს გზას. დინოზავრის ნაკვალევის აღმოჩენა, იმერეთის მღვიმეთა სისტემის მიკვლევა და შესწავლა, შემდეგ ეული ხის ამარა დარჩენილი ეწერის შემოკავება და სათაფლიის ტეკრ-ნაკრძალად აღიარება ეროვნული ეროვნული ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა ბრძოლის შესახებ ი. იმედაშვილს ბევრი რამ აქვს ნათამბობი, მაგრამ ამას მკითხველი თავადაც წაიკითხავს. ოღონდ აქ მაინც მინდა ერთი პატარა ცნობა გამოვყო, რომელიც მთ სანუკვარ ოცნებაზე შეიძლება უფრო მკვეთრად და მკაფიოდ მეტყველდეს, ვიდრე მთელი გამოკვლევა.

როცა ქართული გიმნაზიის შენობის აგება დაუწყიათ, გვიყვება ი. იმედაშვილი, — „იმთავითვე გამიზნული ჰქონდათ საქართველოს უნივერსიტეტის შენობად ან პარლამენტად, — ეს იცოდნენ მხოლოდ სამთ: ილიამ, იაკობ გოგებაშვილმა და ნიკო ცხვედაძემ“ (გვ. 242).

ქართულ პარლამენტზე ეს ჩუმი და მალული ოცნება ხელშესახებად ნათელს ხდის მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწეების ეროვნულ იდეალს. ამ მიმართულებით დიდი და თავდადებული ბრძოლა იყო საჭირო, რადგან დროის სიღუხჭირეს, ისტორიულ ძნელებდობას ერთიანი ეროვნული შეგნების სული მაშინ თითქმის მოეყლა.

აი, რას გვიამბობს ი. იმედაშვილი:

„აკაკი წერეთელს საჩხერიდან თბილისს მოასვენებდნენ. „გზის აქეთ-იქით ბაოჩა-ბაღები დიდითა და პატარით, ქალითა და კაცით იყო მოფენილი, ყველა მუხლს უყრიდა მიცვალებულს. ასეთი რამ ჩემს დღეში არ მენახა. ერთი ღობის ახლო მდგომი დედაკაცისაგან მომესმა ქვითინი:

— ვაი, რა უბედური ვართ! იმერეთს ერთადერთი დიდი კაცი გვყავდი და შენი თავიც საქართველომ წაგვართვა, რაღა გვშველება ჩვენ ბედშავებს!..

და აქვითინდნენ!.. (გვ. 205).

მერე ი. იმედაშვილს სიტყვა უთხოვნია და მგონსის ცხედრისათვის მიუმართავს:“ — საყვარელო აკაკი, შენ გვიმოძღვრებდი, რომ „ჩონგური საქართველოა“... და ორატორს პაუზა გაუკეთებია. რა გაუგონია ხალხს ეს სიტყვები, ერთხმად უყიჟინია — „სიმები ჩვენ ვართ ყველანა...“ ი. იმედაშვილსაც ასე დაუმთავრებია სამგლოვიარო სიტყვა — „აკაკი მთლიანი საქართველოსათვის იბრძოდა. მთლიანი საქართველოს გული თბილისია, ხოლო ამ მთლიანობის მოციქული აკაკი ამ გულში უნდა დაიკრძალოს“ (გვ 205-206).

„ჩემი ცხოვრების წიგნი“ კიდევ ერთხელ მოწმობს, რა ბიძგი მატერიალურ პირობებში უხდებოდა ქართველ მწერალს ეროვნული საქმისათვის ცხოვრება და შემოქმედება.

ახალგაზრდა გიორგი ლეონიძეს თეატრში შესვლა უნდა და ი. იმედაშვილს ეშუდარება, — „მთხოვეს ბილეთი, რომ მარტო შემიშვან და ადგილზე კი შენ დასჯდები“.

ამასვე ეხვეწება გალაკტიონ ტაბიძეც: „თუ შეიძლება გამომიგზავნეთ თქვენი ჟურნალის სათანამშრომლო ბილეთი... რომ თქვენს თეატრში და სხვა რამ დაწესებულებებში თავისუფლად დასწრების ნება მქონდეს...“

ი. იმედაშვილის საყვედურს, ჟურნალისთვის ლექსებს რატომ არ მიგზავნი, ალექსანდრე აბაშელი ასეთ პასუხს აძლევს — „ერთი ლექსის გამოგზავნა ჯდება სამი შაური. სამ შაურად სამ კვერცხს ვიყიდი და ერთ დილას გამოხალისებს“.

„ერთი გახვრეტილი კაპიკი არ მაქვსო“ — შესჩივის ვასილ ბარნოვი იოსებს.

უსახლკარო ტერენტი გრანელს ი. იმედაშვილთან უპოვნია ქერი და მადლიერება ლექსით უთქვამს:

„და გახდა. ჩემი თავშესაფარ სახლი იოსებ იმედაშვილის“.

ასე იხატება ი. იმედაშვილის წიგნში იმჟამინდელი ქართველი ინტელიგენციის ყოფის ატმოსფერო.

რაც ამგვარი წვა-დაგვით იქმნებოდა, ზოგჯერ გულგრილობისა და უდარდელობის მსხვერპლი გამხდარა. ამ მავნე თვისებასაც ებრძვის ი. იმედაშვილის წიგნი.

1949 წელს ი. იმედაშვილს ნატო გაბუნიას დაუწერია წერილი. აქ იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ კუკიის საგოდებელზე უპატრონოდ არისო მიტოვებული ნ. გაბუნიას, ა. ცაგარელის, ლ. აღნიაშვილის, შ. ჩიტაძის, კ. მესხის და სხვათა საფლავები. კარგიაო, დასძენს ი. იმედაშვილი, ნატო გაბუნიას მოკრძალებული გახსენება, მისი ხსოვნის პატივისცემა, „მაგრამ იმას კი ვეღარ გადავხედეთ, თუ რა მდგომარეობაშია თვით ნატო გაბუნიას და მის სახელოვან თანამოღვაწეთა სამარენი!.. ამას ვეკითხები სათეატრო მუზეუმს, თეატრალურ საზოგადოებას და ყველა იმთ, ვინაც ეს ეხება და ვისთვისაც ძვირფასია ნამაგალრ მოღვაწეთა ხსოვნა“ (გვ. 380).

ამ სტრიქონების დაწერიდან 30 წელიწადი გავიდა. დღეს როგორღაა საქმე?...

ი. იმედაშვილის წიგნში დიდძალი მასალაა პირველი მუშათა თეატრის ისტორიისათვის.

ჯერ ერთი, ი. იმედაშვილი თავად იყო ამ თეატრის დაარსების ინიციატორი და ხელმძღვანელი.

მეორეც, აღწერილი აქვს წესები, პროგრამები, პირობები, რომლის საფუძველზეც საქმიანობდა მუშათა თეატრი. მოხსენიებული ჰყავს ამ საქმის ერთგული და თავდადებული მოღვაწენი. ნაამბობია იმ კულტურულ-საგანმანათლებლო, როლის შესახებ, რომელიც მუშათა თეატრმა შეასრულა მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრებაში.

არა მარტო მუშათა თეატრისათვის არის საგულისხმო ცნობები ი. იმედაშვილის წიგნში, არამედ საერთოდ ქართული პროფესიული თეატრის ისტორიისათვისაც. ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია — ცაგარელი, ვალერიან შალიკაშვილი, კოტე ყიფიანი, ლადო მესხიშვილი და სხვანი ცოცხლდებიან მკითხველის თვალწინ. მკაფიოდ გრძნობთ სიყვარულსა და მოკრძალებას, რომლითაც ემსახურებოდნენ ეს ადამიანები ქართულ კულტურას.

„დაარსებიდან ჩვიდმეტი წლის რევოლუციამდე ეს თეატრი იმ დროს იყო ქართული ეროვნულ-საზოგადოებრივი აღმზრდელი სკოლა, უნივერსიტეტი, აკადემია, ქართველი ერის აღორძინების კერა, მისი ბურჯი, უმთავრესად ილია ჭავჭავაძის ზრუნვით“ (გვ. 45). ასეთია ი. იმედაშვილის დასკვნა ქართული თეატრის როლსა და საქმიანობაზე.

ასე და ამრიგად, „ჩემი ცხოვრების წიგნით“ ბევრ საინტერესო ამბავს შეიტყობს მკითხველი და ერთხელ კიდევ გაიხსენებს მადლიერების გრძნობით ჩვენი კულტურის თავდადებულ მოღვაწეს იოსებ იმედაშვილს. თუმცა წიგნის გამოცემის დონის გამო ერთგვარი ტკივილის გრძნობაც გაუჩნდება.

უკანასკნელ ხანს ქართული წიგნის გამოცემის გარეგნული მხარე რამდენადმე გაუმჯობესდა, ანდაზაშია ნათქვამი — გარედან მტერს უბრძავებს თვალებს, შიგნიდან კი მოყვარეს. ამ ბედს ვერც „ჩემი ცხოვრების წიგნი“ აცდა. გამოცემის თვალსაზრისით, წიგნში ბევრი ხარვეზია.

ი. იმედაშვილის წიგნს დოკუმენტის ღირებულებაც აქვს. ამიტომ მისი თვითნებური სწორება მიუღებელია. თუ ავტორს არ ვეთანხმებით ან რაიმე შეცდომა აქვს დაშვებული, ეს სათანადო კომენტარით უნდა აღინიშნოს და წიგნიდან არ უნდა ამოვიღოთ.

შემცირებულ-შემოკლ ე ბ უ ლ ი სახით არის დაბეჭდილი მოგონება „ილია ჭავჭავაძე“. აკლია თავები „ქართული წიგნის საზოგადოების კრება“, „ილიას მკვლელი“. მოკვეთილია ბოლოც, რომელიც ალმანახ „კრიტიკაში“ გამოქვეყნდა.

გამოცემის დროს ასევე შეუკვეცავთ მოგონებანი — „ვაჟაფშაველი“, „იაკობ გოგებაშვილის ხსოვნისათვის“, „ოვანეს თუმანიანი“. შედარებით ნაკლებად, მაგრამ შემცირებულია მოგონებაც „აკაკი წერეთელი“.

მოგონება „ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი“ დედანში თავებად არის დაყოფილი და დასათაურებულია. ეს სათაურები ამოუშლიათ და გამოუტოვებიათ. რატომ?

ქართულ წიგნს ჯერჯერობით ერთი მოურჩენელი სენი სჭირს — კორექტურა. თითქმის ვერ შეხვდებით წიგნს, სავსე არ იყოს კორექტურული შეცდომებით. ზოგჯერ ასეთი შეცდომა კურიოზულ შედეგს იძლევა. არც ი. იმედაშვილის მემუარებია დაზღვეული ამგვარი შემთხვევებისაგან. გავეცნო ზოგიერთ მათგანს.

გვ. 172: დაბეჭდილია — „...კვალში“ მუშაობის დროს ჩემი, თუ კვირისათვის არ გამოვუშვი, კაცი არ ვიყო, — ეუთხარი ნიმით) არ გაუშვა...“

ცხადია, შეუძლებელია ავტორს ამგვარი ამდაუდგა დაეწერა. ჩახედავთ დედანში და გასაგები ხდება ყველაფერი: არეულია სტრიქონები. ავტორს უწერია: „კვალში“ მუშაობის დროს ჩემი ერთი ესიზი მთელი ექვსი თვე აწყობილი (ი-ი ფსევდონიმით) არ გაუშვა...“

გვ. 138: დაბეჭდილია — „რაკი გლეხურად ჩაცმულნი დაგვილანი გავაფრთხილე, ხვალინდელი მგზავრობისათვის თადარიგი დაიცლისო“.

აქაც სტრიქონებია არეული. ი. იმედაშვილი ამბობს: „...რაკი გლეხურად ჩაცმულნი დაგვინახა, ცივად გვითხრა, თქვენთვის ვერ მოვიცლიო“.

გვ. 419: დაბეჭდილია — „აკაკუშას (ნ. სულხანიშვილის — ა. ბ.) ცოლისდამ ლ. აბაშიძემ როცა მოიკითხა... „შეცდომაა. უნდა იყოს: „კაკუშას ცოლისდამ ბაბალემ და ილ. აბაშიძემ, როცა მოიკითხეს...“ ასე გახდა, კორექტორის წყალობით, ბაბალეს მაგიერ ილ. აბაშიძე ნიკო სულხანიშვილის ცოლისდა.

გვ. 151: დაბეჭდილია — „პოლიტიკური დანაშაულის გამო ოთხი წლის კატორღა მიუსაჯეს“ აქ გამოტოვებულია სიტყვები — 1910 წელს.

გვ. 418: დაბეჭდილია — „ივერია“, 1919 წ., № 19“. უნდა იყოს: „თეატრი და ცხოვრება“. 1919 წ., № 19.

არეულია გვარ-სახელები. სონა გოგიაშვილის მაგიერ დასტამბულია სონა გომიაშვილი (გვ. 91), დ ანუნციოს მაგიერ — დ. აბუნციო, (გვ. 96), აშინოგის ნაცვლად ანოსოვი (გვ. 228-229). ერთი მესტამბის გვარი 50-ე გვერდზე შაპსინ-ად არის მოხსენიებული, 168-ე გვერდზე კი — შტაპსონ-ად. რომელია სწორი? არც გეოგრაფიულ სახელებს დასდგომია კარგი დღე. თიანეთის მაგიერ თონეთია დასტამბული (გვ. 220) და ა. შ.

წიგნს არ ახლავს შეცდომების გასწორება (საერთოდ, ამ ბოლო დროს ჩვენი გამომცემლობები ამას აღარ კადრულობენ). ჯერ ერთი, ამდენი შეცდომა არ უნდა დავუშვათ. ეს გამოცემის დაბალ დონეს მოწმობს. მეორეც, თუ ღმერთი გაგვიწყრა და შეეცდით, შეცდომების გასწორება მაინც დავურთოთ წიგნს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „ჩემი ცხოვრების წიგნის“ ახალი გამოცემის დროს ამგვარ შეცდომებს აღარ გაიმეორებენ.

აკაკი ბაქრაძე.

ჩვენი ქვეყნის მერიდიანებზე

ქლერს ქართული ველოდიები

ზაფხულის მანძილზე ქართული მუსიკა ქვეყნის ბევრ ქალაქში აჟღერდება, უთხრეს საქნფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის სახელმწიფო ფილარმონიაში. — ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობის ტრასაზე გამოვა პოპულარული ანსამბლი „ივერია“. ანსამბლ „დიელოს“ საშემსრულებლო ხელოვნებას გაეცნობიან შუა აზიის რესპუბლიკის მსმენელები. ეს კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს ადრეთვე ფესტივალში „ყირიმული განთიადი“ და კურორტ პალანგაში (ლიტვა) გამართულ საესტრადო სიმღერების დათვალიერებაში. ვოლგოგრადში, სარატოვში, ასტრახანში, ოდესაში, მოლდავეთის ქალაქებში გამოვლენ მხატვრული კოლექტივები „დოლური“ და „ენგური“.

ბალტიისპირეთში საგაზაფხულო გასტროლებს გამართავს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლ. ჭყონია, საქართველოს სახალხო არტისტების ი. შუშანიას და თ. მუშკუდიანის საშემსრულებლო ხელოვნებას გაეცნობიან უკრაინელი მსმენელები. მოსკოვისა და ლენინგრადის, ტალინისა და რიგის საკონცერტო დარბაზების სადირიჟორო პულტებთან დადგება რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ჯ. კახიძე.

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერული ორკესტრი შ. შილაკაძის ხელმძღვანელობით მონაწილეობას მიიღებს კამერული ანსამბლების ფესტივალში, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს პერმში.

საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები პიანისტები მ. დოიჭაშვილი და რ. ხუნწარია წარსდგებიან რუსეთის სფსრ და უაზახეთის ქალაქების მსმენელთა წინაშე.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ო. თაქთაქიშვილის ახალ ნაწარმოებებს გაეცნობიან ესტონელები. ეს არის საგუნდო საგალობლები, რომლებიც კომპოზიტორმა „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავისათვის შექმნა. ამ ნაწარმოებების პრემიერაზე მიწვეულია ავტორი. შემდეგ ქართველი კომპოზიტორი ეწვევა ოდესას, სადაც მისი საავტორო კონცერტი გაიმართება.



მიღწეულის განმტკიცების გზით

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები თბილისში

თითქმის ათი წელი გავიდა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის ბოლო გასტროლებიდან, იმ დღიდან, როცა მისი ჩინებული სპექტაკლების (შექსპირის „მეთორმეტე ღამე“, ალ. ჩხაიძის „ხიდი“, ვაჟა-ფშაველას „ორი პოემა“, ნ. დუმბაძის — „ნუ გეშინია დედა“) წყალობით გავიცანით თეატრის ახალი თაობა, რომელიც სახელოვნად ამოუდგა გვერდით ამ თეატრის ფუძემდებლებს და განაგრძო დიდი გზა, ოცდაათიანი წლების დამლევს რომ დაადგა ბათუმის თეატრი. თეატრის მაშინდელი რეჟისორი გ. ქავთარაძის ხელმძღვანელობით ტრადიციების ერთგულებას იმაში ხედავდა, რომ რეჟისურის ახალ გამომსახველობითს ფორმებს ეძებდა. სწორედ ამ სიახლეთა ძიებაში ვლინდებოდა, შემოქმედებითად ვაჟკაცდებოდა ახალგაზრდობა.

ამქამინდელ გასტროლებზე იმდროინდელი ახალგაზრდობა თეატრის საშუალო თაობად მოგვევლინა. მას თან ჩამოჰყვა თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფია, წარმატებული თუ უიღბლო როლები, და ჩვენც წარმოდგენილი რეპერტუარით უნდა შევეგრძნოთ, როგორ განვითარდა (ან იქნებ დაქვეითდა) რეჟისურის, მსახიობთა შემოქმედებითი დონე, უნდა დავინახოთ, რით ცხოვრობდა თეატრი ამ წლებში, რა რეჟისორული თუ აქტიორული ძიებანი მიმდინარეობდა ამ ცოცხალ ორგანიზმში. რეპერტუარი კი იმდენად ფართოა, რომ საამისო საშუალებას იძლევა. ბათუმელებმა შვიდი სპექტაკლი შემოგვთავაზეს, რომელთა მიხედვით არ უნდა გაგვიჭირდეს თეატრის რეჟისორული თუ აქტიორული პოტენციის ამოცნობა.

ათასზნის ცნობილი ჟეშმარიტებაა — რეპერტუარი თეატრის სარკეა, იგი ყველაზე ზუსტად გამოხატავს თეატრის ინტერესებს, გვიჩვენებს, თუ რას ესწრაფვის მისი რეჟისურა და რისი ძალა შესწევს. საგასტროლო რეპერტუარს უთუოდ აქვს თავისი ღირსებანი: თუნდაც ის, რომ თანამედროვეობას ეყრდნობა. არა ნაკლები ღირსებაა, რომ შვიდი სპექტაკლიდან ოთხი ქართველ დრამატურგთა კალამს ეკუთვნის. რეპერტუარშია საბჭოთა და უცხოური დრამატურგიის ნიმუშებიც. თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკის ღირსებად მიგვაჩნია ისიც, რომ იგი უფრთხილდება თავის წარსულს, კარგად ინახავს ადრეულ წლებში შექმნილ სპექტაკლებს — გურამ ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“ თითქმის ათი წელია დადგა ამ თეატრში, მაგრამ დღესაც ადგიშნავა.

გასტროლები დაიწყო ოტია იოსელიანის ცნობილი პიესით „სანამ ურემი გადაბრუნდება“. პრობლემურობამ, სახეთა და ხასიათთა კოლორიტულობამ პიესას ბევრი თაყვანისმცემელი შესძინა.

„სანამ ურემი გადაბრუნდებას“ სცენური ინტერპრეტატორები — რეჟისორი გ. აბესაძე და მხატვარი ან. ფილიპოვი არ ეძებენ სცენურ ნოვაციებს. მათ საკმაოდ ტრადიციულ ყაიდაზე დადგმული სპექტაკლი შესთავაზეს მაყურებელს. იქნებ ამასაც ჰქონდეს დღეს თავისი ხიბლი? იქნებ ეს ტრადიციულობა, არაპრეტენზიულობა სცენაზე ყოფითი სიმართლის შექმნის სურვილით იყოს განპირობებული?

ეს ყოფითი სიმართლე კი უთუოდ სუფევს სცენაზე და მას უცილობლად ამკვიდრებს დღევანდელი ქართული თეატრალური პროცესების თვალსაჩინო მონაწილე იური ცანავა, რომლის სცენური მომზიბლაობის, ჟეშმარიტი ტალანტისა და უშუალობის იმედით თუ შეაჭერა რეჟისურამ არჩევანი ო. იოსელიანის პიესაზე. სპექტაკლში შექმნილია რამდენიმე ასე თუ ისე დადებითი შეფასების ღირსი სცენური სახე. განსაკუთრებით გამოვყოფდით კესარიას ნ. წერეთლის შესრულებით და რ. კაკაურიძის კარპეს, რომლებსაც უთუოდ აქვთ ჩინებულად გაანრებული სცენები, მაგრამ თუ რამ გვხიბლავს ამ სპექტაკლში, ეს სწორედ იური ცანავას აგაბო ბოგვერაძეა.

რეჟისორმაც და მსახიობმაც სწორად ამოიკითხეს აგაბოს პიროვნება და ესეც გახლავთ ი. ცანავას წარმატების ერთ-ერთი მიზეზი.

მეორე საგასტროლო სპექტაკლია ვალერიან კანდელაკის „დრო ოცდაოთხ საათზე“. ავტორმა ქართული ქრონიკა უწოდა თავის ამ ჩინებულ პიესას, რომელშიც ღრმად არის გაანალიზებული ქართველ ბოლშევიკთა ბრძოლა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეებში.

დ. ხინიკაძემ მეორედ დადგა ეს პიესა ბათუმის თეატრში (პირველი დადგმა გ. ქავთარაძეს ეკუთვნოდა). გასაგებია ის ინტერესი, რომელსაც ახალგაზრდა რეჟისორი იჩენს ამ ნაწარმოებისადმი, და მისასალმებელიც. მისი სპექტაკლის უმთავრესი ღირსება სწორედ ის გახლავთ, რომ მან. სწორად წაიკითხა ნაწარმოები, უფრო სწორად კი კონფლიქტის არსი — წარმოაჩინა ის, რაც ამოძრავებს, ერთი მხრივ, რევკომს და, მეორე მხრივ — საბჭოთა ხელისუფლების მტერ გენერლებს, როგორ გააერთიანა ბოლშევიკურმა აზრმა ეს ორი დაპირისპირებული ძალა, ცხადად გვაჩვენა კომუნისტთა თეზა — როცა სამშობლო გასაჭირშია, როცა მის მიწას უცხონი დაპატრონებიან, ყოველმა უნდა გაიღოს საკუთარი სისხლი მის დასაცავად.

ამ სპექტაკლმაც გვაჩვენა ბათუმის თეატრის აქტიორულ ძალთა მომზიბლაობა, ნიჭიერება, კიდევ უფრო გამოკვეთა ი. ცანავა, წარმოაჩინა რიფათა გოგიტიძის — უბრალო სოფლელი ბიჭის როლის შემსრულებელი ნიაზ მესხიძე, მისი უშუალობა, განცდისმიერობა გხიბლავთ და გვჯერა, თუ როგორ მივიდა ეს უბრალო ბიჭი რევოლუციის წმინდა საქმესთან, როგორ გაიზარდა და ამაღლდა როგორც პიროვნება. დ. ხინიკაძის ამ სპექტაკლში ერთ სიბრტყეზე დადგა უბრალო სოფლელი ბიჭის რიფათას, რევოლუციონერ სერგოს (ლ. ღლონტი) და გენერალ. მაზნიაშვილის ბედი და გზა. სამი სხვადასხვა ბიოგრაფიისა და ხასიათის ადამიანი გაერთიანა რევოლუციამ. სამივე თავისი გზით მივიდა მასთან.

სპექტაკლმა კიდევ ერთხელ გამოავლინა მეტად კოლორიტული ამ. ტაკიძე, რომელიც სცენური გამომსახველობით გამოირჩევა, გ. გოგიბერიძე, მ. შერვაშიძე, რ. კაკაურიძე, ამასთანავე ახალგაზრდა მსახიობთა ღვაწლიც დაგვანახვა. მხედველობაში მაქვს დინა ვაჩნაძის შესრულება — ლ. ჯიბლაძე, რომელიც ც. აბზიანიძესთან ერთად (იგი ო. იოსელიანის პიესაში ერთ-ერთი როლის როლს ასრულებს), ახალი თაობის იმ ძალად გვეელინება, რომელმაც ხვალ თეატრის სიმძიმე უნდა იდოს თავს სხვა თანატოლებთან ერთად.

ზოგადად რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ბათუმის თეატრის დღევანდელ დღეზე? აქ უმთავრესად მაინც რეჟისურაზე მოგვიწევს ლაპარაკი, იყო დრო, როცა რეჟისურა თეატრის ერთ-ერთი კომპონენტი გახლდათ, დღეს იგი არ არის რიგითი კომპონენტი, დღეს იგი წამყვანია და თუ რეჟისურა წამყვანია აქტიურ ფუნქციას არ ასრულებს, თეატრი ვერ მიაღწევს დიდ შემოქმედებითს გამარჯვებებს. ბათუმის თეატრს კი ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ ამ დიდი შემოქმედებითი გამარჯვების გზებს ელტვოდეს, მით უმეტეს, რომ მისი რეჟისურა ახალგაზრდულია.

გურამ ბათიაშვილი.

სურათებზე: კესარია — ნ. წერეთელი, აგაბო — ი. ცანავა.

ხ. არაქელიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კომუნისტი

საბჭოთა საქართველო ერთიანი პიონერიოთეკა

დილიდანვე დაგეგმეთ კვირა დღე!

ნახეთ ტელევიზიით



მხატვრული ფილმები: კინოს მოყვარულთათვის (საქ. ტ. I პრ. — 14.20), „სახიჩარნი“ (საქ. ტ. II პრ. — 16.00), „თევზობა“ II სერია (ც. ტ. IV პრ. — 17.55), „გრძელი გზა“ (ც. ტ. IV პრ. — 22.40).

მულტფილმები: 12.50 (ც. ტ. I პრ.); 19.45 (ც. ტ. I პრ.).

მუსიკა: „მუსიკალური კიოსკი“ (ც. ტ. I პრ. — 13 ს.), „ძველებური ფრანგული მუსიკა“ (საქ. ტ. I პრ. 15.40), კონცერტი (ც. ტ. IV პრ. 15.55), უკრავს სასულე ორკესტრი „რიგა“ (ც. ტ. I პრ. 18.45), მუსიკალური პროგრამა (ც. ტ. I პრ. 20.00).

თეატრი: თეატრალური სპექტაკლი, ფ. შილერის „მარია სტიუარტი“ (ც. ტ. I პრ. 14.30) მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრის სპექტაკლი „შთამომავლობა“ (საქ. ტ. I პრ. 19.45) კინომოყვარულთა კლუბი (ც. ტ. I პრ. 17.45).

სპორტი: ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე, ერევნის „არარატ“-თბილისის „დინამო“, ტრანსლაცია ერევნიდან (საქ. ტ. I პრ. 18.00), რეგბი, საბჭოთა კავშირის პირველობაზე, თბილისის „ლოკომოტივი“ მოსკოვის „სლავა“ მეორე ტაიმი (საქ. ტ. I პრ. 22.35), მსოფლიო ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში (ც. ტ. IV პრ. 16.55), მსოფლიო ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში (ც. ტ. I პრ. 22.35).

კინოთეატრებში

სამანიშვილის დედინაცვალი (საქართველოს მწვანე დარბაზი — 11-13-15 ს.); **შემთხვევა საგამომძიებლო პრაქტიკიდან** (ყოფაკავშირელი — 10-12 ს.), **იმედის ვარსკვლავი** I-II სერია (მეგობრობის დიდი დარბაზი — 13-16-19-21, 30, 26 კომისრის სახელობის პირველი დარბაზი — 12-15-18-21), **ხავერდოვანი სეზონი** (სპარტაკი — 10-12-14-16-18-20-22, თბილისი — 15-17-19-21, კოლხიდა — 11-13-15-17-19-21, სიხარული — 13-15); **გრძელი დისტანციაზე რბენის ტაქტიკა** (ყაზბეგის მეორე დარბაზი — 13-15); **დაგვიანებული ნაყოფი** (ბათუმი — 13, ვარძია — 17, ისანი — 11); **მომინო** (ქრონიკის წითელი დარბაზი — 17-19-20,30); **სრული სვლით** (ამირანი — 10); **კეთროვანი** (საქართველოს მწვანე დარბაზი — 17-19-21, თბილისი — 13, თანამგზავრი — 15); **უკანასკნელი მაუწმე** (ბათუმი — 15); **ლედი კროლინა ლეში** I-II სერია (რუსთაველი — 11-13,30-16-18,30-21, ოქტომბერი — 10-12,30-15-17,30-20); **ჩკინის ნიღბიანი კაცი** (ამირანი — 12-14-16-18-20-22, საქართველოს წითელი დარბაზი — 12-14-16-18-20, ისანი — 13-15-17-19-21, მშენებელი — 12-13,30-15-17-19-21, კოლხიდას საბაფხულო — 21).

კვლავ საგასტროლოდ

ანსამბლი საბერძნეთში მიემგზავრება

ინგლისში თვე-ნახევრის გასტროლების შემდეგ, ამას წინათ თბილისს დაბრუნდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელები არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტები, სსრ კავშირის სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი. ქართველი მოცეკვავეები მეხუთედ იყვნენ ინგლისში და კვლავ დიდი წარმატება ხვდათ.

დღეს ანსამბლი საბერძნეთს გაემგზავრება. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ იგი საბჭოთა კავშირის ქალაქებს მოივლის ერთი თვის განმავლობაში.

ჯერჯერობით კი გზა დავულოცოთ ჩვენს მოცეკვავეებს, ვუსურვოთ, რომ ამჯერადაც ესახელებინოთ ქართული ცეკვა უძველესი კულტურის ქვეყანაში.

სურათებზე—შუაში: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ლატავრა ფოჩიანი ცეკვავს ქართულს. შეხედეთ რამდენი გრაცია და სინარნარეა მის მოძრაობაში; ქვემოთ მარცხნივ: ეტყობა, ანსამბლის ხელმძღვანელი ნინო რამიშვილი მეტისმეტად მკაცრი და მომთხოვნია; ანსამბლის მოცეკვავეები ცეკვავენ აჭარულს.

• • •

ა. საპაროვის ფოტო.

ოჯრო აჭარის ლაჟვარდში

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ბათუმიდან ხულოს რაიონულ ცენტრამდე ასევლას მსუბუქი ავტომანქანა ოთხ-ხუთ საათს მაინც ანდომებდა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ საჭეს გამოცდილი ძძოლი უჯდა. ზოგიერთ მონაკვეთზე ორი მანქანა ძლივს უვლიდა გვერდს ერთმანეთს. მარჯვნივ ხრამი და აბობოქრებული აჭარისწყალი ზარავდა ადამიანს, მარცხნივ — თავზე გადმომხობილი კლდეები. მას შემდეგ, რაც გზატკეცილი გაფართოვდა და მოასფალტდა, თითქოს ერთიორად დამოკლდა მანძილი ხულომდე და მგზავრმაც თავისუფლად ამოისუნთქა.

ერთი თვალის გადავლებითაც კი იგრძნობა, თუ რაოდენ ამაღლდა აქაურ მკვიდრთა ცხოვრების დონე. ამაზე მეტყველებს ამ მთაგორიანი მხარისათვის რამდენადმე უჩვეულო ფერად-ფერადი „ქოგულები“, საავადმყოფოებისა და სკოლების მრავალსართულიანი შენობები, მთის კალთებზე შეფენილი ოდა-სახლები.

სიახლე და წინსვლა თვალნათლივ იგრძნობა ცხოვრების ყველა სფეროში, მაგრამ მომავლისათვის კიდევ უფრო ვრცელი გეგმებია დასახული, რაც საქმისადმი ახლებურ მიდგომას მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების, აქაური მოსახლეობის შემოსავლის მთავარი წყაროს — მეცხოველეობისა და მეთამბაქოეობის განვითარებლად.

ხულოში, შუახევსა და ქედაში დიდხანს მიაჩნდათ (ზოგიერთს ახლაც ჰგონია), რომ აქ მეცხოველეობა არასოდეს არ იქნებოდა რენტაბელური, იმიზეზებდნენ, რომ დაბალია პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, სუსტია საკვები ბაზა, შემცირდა სათიბსავარგულები. ერთი სიტყვით, თითქოს ბევრი რამ არის დაშფიქრებელი, მაგრამ იმედის მომცემი უფრო მეტია. თუკი მეცხოველეობის ფერმები გამსხვავლდება, გაუმჯობესდება ჯიშობრივად, დაინერგება მეცნიერული რეკომენდაციები, უკეთესი შედეგები იქნება მოპოვებული. ამის ნათელი მაგალითია შუახევის რაიონში შექმნილი საკოლმეურნეობათშორისო მშენებლობის საბჭო და მისი თავკაცის ისაკ ქამადაძის ენერგიული და გონივრული საქმიანობა. ეს ორგანიზაცია აშენებს მეცხოველეობის ფერმებს, რაც საკმაოდ იაფი ჯდება, მშენებლობისათვის გამოიყენება ადგილობრივი ინერტული მასალა. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო, სახელმწიფო გეგმაც სრულდება და სოფლის მრრომელთა შემოსავალიც იზრდება. რაც მთავარია, ეს ორგანიზაცია უკვე რენტაბელურია და მშსი სამოქმედო არეც სულ უფრო ფართოვდება.

მაგრამ მთის კაცის ყველა ფიქრისა და საზრუნავის სათავე მაინც მიწაა, უფრო სწორად, მცირემიწიანობა. მას ტყეს, მთას, მდინარეს ნაპერ-ნაპერ გამოტაცებულ მიწაზე მოჰყავს ჭირნახული.

პარტიის ხულოს რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ნოდარ თამაზაშვილმა ქაღალდების დასტა მიჩვენა:

— განცხადებებია, საკარმიდამო ნაკვეთებს ითხოვენ. ახალგაზრდა კაცმა ახალი ოჯახი შექმნა, ცალკე კომლად გამოყოფას ითხოვს, მაგრამ მიწის სმენილის გამო მის თხოვნას ვერ ვაკმაყოფილებთ. ჩვენს რაიონში სამასზე მეტი ასეთი ოჯახია.

ასეთივე მდგომარეობაა მთის სხვა რაიონებში. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ეამოინახა ასეთი გზა — მსურველებს შეუძლიათ საცხოვრებლად გადასახლდნენ ადგილნახა და ასპინძის რაიონებში, სადაც საკარმიდამო მიწის გამოყოფის მეტი საშუალებაა, თან რელიეფი უკეთესი და ნიადაგიც უფრო ნოყიერია. რესპუბლიკის მთავრობამ, მეზობელი რაიონების ხელმძღვანელებმა სათანადოდ იზრუნეს ორგანიზებულ ჩასახლებისათვის, მაგრამ ჯერჯერობით საქმე წინ მაინც ვერ წავიდა, უმთავრესად იმიტომ, რომ საცხოვრებელი სახლების პროექტები ახალმოსახლეთა მოთხოვნებს, მათს პირობებს ვერ აკმაყოფილებს. ამჯერად ესსაქმე გვარდება და წელს მარტო ხულოს რაიონიდან ათობით ოჯახი ჩასახლდება ადიგენისა და ასპინძის რაიონებში.

ისე, როგორც საქართველოს სხვა მთის რაიონებში, ზემო აჭარაშიც ჯერ კიდევ სუსტია საზოგადოებრივი მეურნეობების ეკონომიკა. ამ საქმის წარმატება კი დიდად არის დამოკიდებული შრომისა და მართვის ორგანიზაციის სრულყოფაზე, სოფლის უნარიან თავკაცებზე. მოვიყვან ასეთ მაგალითს: ხიხაძირის საბჭოში რვა სოფელი შედის, რომლებსაც თითქმის თანაბარი პირობები აქვთ, შედეგები კი სხვადასხვაგვარია. შარშან ბაკოელებმა თავი ისახელეს თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანით, სხვებმა გეგმაც ვერ შეასრულეს. მიწას გაცილებით მეტის მოცემა რომ შეუძლია, ეს თამბაქოს უხვი მოსავლის ბერძნა ოსტატმა დაამტკიცა, მაგრამ მათი გამოცდილების განზოგადებასა და დანერგვაზე მეტი ზრუნვაა საჭირო.

ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთში ცხოვრობს იბრაიმ ნიგალიძე, ვაზის დიდი მესაიდუმლე. ამას ისე, სხვათა შორის ვამბობ, თორემ მისი შრომის მთელი საიდუმლოება ის გახლავთ, რომ გულით უყვარს საქმე, რომელსაც იგი ემსახურება. ზემო აჭარაში ჰექტარზე 150 ცენტნერი ყურძენი რომ მოიწიო, ტაში დაგიკრავენ. იბრაიმ ნიგალიძეს კი თავის ნაკვეთზე ჰექტარზე გადაყვანთან 300-400 ცენტნერი ყურძენი მოჰყავს. ასეა ყოველწლიურად. აჭარაში კი ერთ დროს განადგურებული და კვლავ აღორძინებული ვაზის შემდგომ ათიოდე წლის წინათ ღორჯომის საშუალო სკოლაში ლიტერატურის შესანიშნავი კაბინეტი შექმნა პედაგოგმა იური ბიბილეიშვილმა. ბევრი საზოგადო მოღვაწე და ადგილობრივი მცხოვრები მიიზიდა ამ თავისებურმა კულტურულმა „ცენტრმა“. აქ მხოლოდ ლიტერატურაზე როდი იყო ლაპარაკი! „იყოო“, ვამბობთ, ვინაიდან ამ კაბინეტიდან თითქმის აღარაფერი დარჩა, გარდა შთაბეჭდილებათა წიგნისა, რომელიც სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატთა შორის გამოფენის ღირსია. ახალგაზრდა მასწავლებელი ანზორ ციცხვაია მარტო ისტორიას კი არ ასწავლიდა ჭინჩაურელ ბავშვებს, არამედ აყვარებდა წინაპართა უძველეს კულტურას და მათთვის ალბათ ყველაზე ძვირფასი იყო სხალთის ტაძარში ჩატარებული გაკვეთილები. შემდეგ ამ დიდებულ საკანში შეიქმნა მიკრომუზეუმი, რითაც ყინჩაურელმა მოსწავლეებმა მთელ რესპუბლიკაში გაითქვეს სახელი. ისინი თბილისში მიიპატიჟეს, გამოჩენილ მეცნიერთა მადლობა დაიმსახურეს და ჯილდოც მიიღეს. შემდეგ სხალთის ტაძარში მოწყობილ ექსპოზიციას თითქოს ავტორიტეტული მეურვეც გამოუჩნდა — აჭარის სახელმწიფო მუზეუმი, მაგრამ ეს კარგად დაწყებული საქმე წინ ვეღარ წავიდა. რამდენ მოზარდს ჩაუნერგა წიგნის სიყვარული, ცოდნის შეძენის სურვილი აწგანსვენებულმა დიმიტრი ხოზრევანიძემ, რომლის თაოსნობითაც შესანიშნავი ბიბლიოთეკა შეიქმნა ხიხაძირის სკოლაში. სოფელ ძირკვაქეებიდან გამოსულ ახალგაზრდებს თუ მათემატიკის ნიშნა და ცოდნას უქმენენ, ეს, უწინარეს ყოვლისა, ამ საგნის მასწავლებლის ასლან თავართქილაძის დამსახურებაა.

დარწმუნებული ვარ, ასევე მადლიერების გრძნობით მოიგონებენ შთამომავლები სხალთის საოფლო საბჭოს ძმაგულის რვაწლიან სკოლის დირექტორს იოსებ მახარაძეს, რომელმაც ამ ათიოდე წლის წინათ თელავის რაიონიდან კაზანლიკური ვარდის პირველი კალმები ჩამოიტანა და საკარმიდამო ნაკვეთზე გაახარა. მალე ამ საქმით დაინტერესდნენ მეზობელი რაიონები, ეთერზეთოვან მცენარეთა სპეციალისტები, გამწვანების ტრესტის მუშაკები და ამ სასარგებლო საქმის მოთავის — იოსებ მახარაძის ეზოში ასიოდე კვადრატულ მეტრზე გაღივებული ვარდი უკვე ახალ-ახალ ჰექტარებს იპყრობს თვალისა და გულის გასახარად, ჩვენი ცხოვრების დასამშვენებლად.

არცთუ დიდი ხნის წინათ ღორჯომელი მოცეკვავეები და მომღერლები, ქალებიც და კაცებიც, აჭარის დედაქალაქის სცენაზე გამოდიოდნენ, მაგრამ გულგრილობამ და წყარუებამ ეს სასარგებლო კულტურული საქმეც ჩაშალა.. არა მარტო ღორჯომში, საერთოდ, ზემო აჭარაში კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები სათანადოდ ვერ მუშაობენ, ალბათ იმიტომაც, რომ ელემენტარული პირობები არ გაჩნიათ.

დიდი ხანი არ არის, რაც ხულოს სახალხო თეატრის სცენაზე გამოდიოდნენ ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი ოსტატები, აქ იყო სახელმწიფო თეატრი, რომელიც ჩამოდიოდა ბათუმში და ეკიბრებოდა დედაქალაქის პროფესიონალებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ტრადიციებიდან თითქმის აღარაფერი დარჩენილა. ხულოელებსა და შუახევლებს კარგად ახსოვთ მათ სოფელში შალვა დადიანის, იოსებ იმედაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, გლაკტიონის, გიორგი ლეონიძის ქართული კულტურის სხვა გამჩენილ მოღვაწეთა სტუმრობა, რაც მუდამ ზეიმის ელფერს იღებდა, ახლა კი აჭარის მწერლებიც იშვიათად თუ ამოხვალთ ჩვენთანო, სამართლიანად გვისაყვედურებენ ზემოურები.

ზემო აჭარაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი რადიომ, ტელეფონმა, ელექტრობამ, გაზმა, მაგრამ ზემოურებს კარგა ხანს აწუხებდათ, რომ ხულოელ, შუახეველ, ქედელ ახალგაზრდებს საგანგებოდ უხდებოდათ ბარში ჩამოსვლა, რომ ტელევიზორით ფეხბურთის მატჩი ენახათ. მერე სხვადასხვა კონსტრუქციიის თვითნაკეთი ანტენები გაჩნდა სახურავებზე. ხოლო მოგვიანებით, როგორც იქნა, ზემო აჭარაში დაიდგა სატრანსლაციო ტელეკოშკები. ამით საქმე მაინც არ დამთავრებულა, ვინაიდან ზოგიერთი სოფელი აჭალა უხარისხოდ ან სრულებით ვერ იღებს ტელეგადაცემებს. ეს მთლად უმნიშვნელო საქმე არ გახლავთ, რადგან ტელევიზიას იდიდ კულტურული და საგანმანათლებლო მისიის შესრულება შეუძლია ზემო აჭარაში.

ყველაფერ ამას, ჩემო ბიძია, კაცი კიდევ მოიომენს, მითხრა ერთმა თაგოელმა ბერიკაცმა, მართლა ბრმა უნდა იყო, დღევანდელი ცხოვრების მადლი და სიკეთე რომ ვერ დაინახო, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, გზებს მიხედონ, გზებს, რადგან გზაა ყველაფრის სათავე, სიკეთის და სიაღლის მომტანიო. უგზოობასთან დაკავშირებულია ტრანსპორტის მუშაობაც და ისიც, რომ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირია ავარიები და ესე იგი მათგან გამოწვეული უბედური შემთხვევები მთაგორიანი აჭარის გზებზე.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ამხანაგები ეწვივნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთის რაიონებს, შეხვდნენ და ესაუბრნენ ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს, სოფლის მშრომელებს, გაეცნენ ამ რაიონების ეკონომიკის, ცალკეული დარგების განვითარების მდგომარეობას, მოინახულეს კურორტი ბეშუმი, სამკურნალო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, საბავშო ბაგა-ბაღები. ამ შეხვედრების დროს გამოითქვა კონკრეტული მოსაზრებანი, საქმიანი წინადადებები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აჭარის მთის რაიონების შემდგომ განვითარებას, აქაური მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება აჭარის მთის რაიონების სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლების და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომლის გარშემოც საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა აჭარის სოლქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე. ამ დადგენილების განხორციელება კიდევ მრავალ სიკეთეს მოუტანს აჭარას, ჩვენი რესპუბლიკის ამ ერთ-ერთ ულამაზეს მხარეს, გაუადვილებს შრომას და ცხოვრებას აქ მცხოვრებ გამრჯე, სტუმართმოყვარე ადამიანებს.

მათ გულწრფელად სწამთ, რომ ყველა დაპირება და დასახული გეგმა საქმედ იქცევა, რომ გამსხვავებული მეურნეობები, მეცხოველეობის კომპლექსები წინ წასწევენ, განამტკიცებენ კოლმეურნეობათა ეკონომიკას, მეზობელ რაიონებში მათთვის გამოინახება მიწის ნაკვეთები, მაცოცხლებელი წყლით გაივსება არხები, გაუმჯობესდება კულტურული, სავაჭრო, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო მომსახურება, ხულოში აიგება სამკერვალო ფაბრიკის ახალი კორპუსი, სათანადოდ მოეწყობა კურორტი ბეშუმი, ტელევიზორის ეკრანი აციმციმდება ყველა ოჯახში, ხულოს სახალხო თეატრი დაიბრუნებს წარსულ დიდებას, ახალი ფორმითა და შინაარსით გამდიდრდება უკვე მტკიცედ ფეხმოკიდებული სახალხო დღესასწაული — შუამთობა, რომელმაც შარშან განსაკუთრებული აღმავლობით ჩაიარა.

ხულოს ცენტრიდან მთაზე შეფენილი სოფელი დამანახეს, ყველაზე უკიდურეს მოსახლეზე მიმითითეს და მითხრეს: იქამდე გზა არც არის გაჭრილი, იშვიათად თუ ავა ვინმე, მაგრამ ოროთახიან ოდა-სახლში, აქაური წესისამებრ, ერთი ოთახი მუდამ მზადა აქვს სტუმრის მისაღებადო.

ასეა ყველგან, ყველა სოფელში, ყოველ ოჯახში გოდერძის უღელტეხილამდე, რომელიც ორი ათასი მეტრი სიმაღლიდან გადმოჰყურებს ქვეყანას.

ალექსანდრე ჩხაიძე.

ქ. ბათუმი.

ოჯრო აჭარის ლაჟვარდზე

მწერლის ჩანაწერები

სიცოცხლე მთებში

ზღვის დონიდან 2000 მეტრზე

განვითარებას მხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობა როდი აქვს.

ზემო აჭარაში უკვე იგრძნობა მუშახელის სიჭარბე. სწორედ ამიტომაც დაისვა დღის წესრიგში მთის და მთისწინა რაიონებში მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარების საკითხი. ეს პირდაპირ არის ნათქვამი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში. მუშახელის დასაქმებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზრდება მთის რაიონების შემოსავალი, განსაკუთრებით — ადგილობრივი მრეწველობის ხარჯზე. დღეს ხულოში უკვე მუშაობს ბათუმის სამკერვალო გაერთიანების ფილიალი, ქედაში — მანქანათსაშენებელი ქარხნის მექანიკური საამქროს უბანი. ზემო აჭარაში აღმოჩნდა ძვირფასი სანმელი და მოსაპირკეთებელი მასალის მარაგი, რაც უკვე გამოიყენეს ბათუმის ცნობილი მუსიკალური შადრევნის მშენებლობაზე. ქედის მინერალური წყალი „კოკოტაური“ არცთუ ისე დიდი ხანია გამოჩნდა საავჭრო ქსელში, მაგრამ იგი უკვე ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც იგზავნება. თუკი წარმოება გაფართოვდა, ქედელები ყოველწლიურად გამოუშვებენ არა მილიონ-ნახევარ ბოთლს, არამედ ბევრად მეტ „კოკოტაურს“, რაც კიდევ უფრო წინ წასწევს ამ რაიონის ეკონომიკას.

ყოველივე ამაზე საქმიანად, გულისყურით ფიქრობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მთის რაიონების ხელმძღვანელები, აქაური კომუნისტები, მთელი მოსახლეობა.

დღევანდელი ბიჭუნებისა და გოგონების ვარგებულ კაცებად და ქალებად აღზრდა საყოველთაო ფიქრისა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს, ვინაიდან საბოლოოდ მათ უნდა გადაჭრან ყველა ის საჭირბოროტო პრობლემა, რომლებიც მთაგორიანი აჭარის წინაშე დგას. ამიტომ გამოყოფს ამდენ სახსრებს სახელმწიფო სახალხო განათლებისათვის, ამიტომ აშენდა და შენდება ღურტაში, რიყეთში, ოქტომბერში, ყინჩაურში, ოლოჯაურში, ხიხაძირში, აგარაში, სამოლეთში, ოლადაურში, ჭვანაში, ზომლეთში საშუალო და რვაწლიანი სკოლების საუცხოო შენობები. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ უგულოდ, საყვედურად ბავშვის აღზრდა არ შეიძლება, ამასთან აქაური პედაგოგი უნდა იყოს არა მარტო ამა თუ იმ საგნის კარგი სპეციალისტი, არამედ ყველა სასარგებლო საქმის მოთავე და მონაწილე, ყოველივე ახლისა და მოწინავის პროპაგანდისტი.

ათიოდე წლის წინათ ღორჯომის საშუალო სკოლაში ლიტერატურის შესანიშნავი კაბინეტი შექმნა პედაგოგმა იური ბიბილეიშვილმა. ბევრი საზოგადო მოღვაწე და ადგილობრივი მცხოვრები მიიზიდა ამ თავისებურმა კულტურულმა „ცენტრმა“. აქ მხოლოდ ლიტერატურაზე როდი იყო ლაპარაკი! „იყოო“, ვამბობთ, ვინაიდან ამ კაბინეტიდან თითქმის აღარაფერი დარჩა, გარდა შთაბეჭდილებათა წიგნისა, რომელიც სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატთა შორის გამოფენის ღირსია. ახალგაზრდა მასწავლებელი ანზორ ციცხვაია